სკოლის მართვა

#4, 2023

საერთო სასკოლო მიდგომა სკოლებში თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურის უზრუნველსაყოფად

თანამშრომლობის მნიშვნელობა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვაში – კვლევის შედეგები

სკოლის ორგანიზაციული კულტურა – კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილება ინტერკულტურულ განათლებაში – ევროპის საბჭოს რეკომენდაცია

ციფრული ტრანსფორმაცია – ვიდეოთამაშების პოტენციური სარგებელი

ISSN 1512-0279

9 771512 027007 >

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, UNESCO-ს ეგიდით მოქმედ ორგანიზაციასთან – „აზია-წყნარი ოკეანეთის განათლების ცენტრთან“ პარტნიორობით, გთავაზობთ ახალ რესურსებს გლობალური მოქალაქეობის განათლების შესახებ







სკოლის მართვა

#4, 2023

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ზერიკა შუკაკიძე
განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

მაია არაპიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ინგოროყვა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

ხათუნა ბარამიძე
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დენის ლურღუმია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

კახა ჩხარტიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი

მთავარი რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:
მაია წიკლაური

ფოტოგრაფი:
გელა გედიანაშვილი

დიზაინერი:
გესლა დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის II შესახვევი N6
ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორის სვეტი

ერთ-ერთი განსაკუთრებული მოვლენა, რის გამოც 2023 წელი აუცილებლად შევა საქართველოს ისტორიაში, არის ის, რომ წელს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, რაც ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლას ნიშნავს. ამ უპირობოდ მოსალოდ ფაქტს მეორე, ვალდებულებების მხარეც აქვს, რაც სხვადასხვა სფეროში (მათ შორის, განათლებაშიც) უფრო მეტად მობილიზებულ საქმიანობას მოიაზრებს დიდ, ევროპულ ოჯახში გასაერთიანებლად.

ამ გზაზე უკიდურესად მნიშვნელოვანია სკოლის როლი - ის მიმართულება, ის გარემო, ის კულტურა, რომელსაც სკოლა ქმნის და ყველაფერი, რაც სკოლაში და სკოლისთვის ხდება, უშუალოდ მოახდენს გავლენას ევროკავშირთან დაახლოების პროცესზეც.

სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენი ჟურნალის მიმდინარე ნომერი ეხმიანება რამდენიმე პრიორიტეტულ თემას:

- დემოკრატიული კულტურა არ არსებობს თანამშრომლობისა და მონაწილეობის გარეშე. ნომრის მთავარი თემა სწორედ სასკოლო თანამშრომლობა და საერთო სასკოლო მიდგომაა. გთავაზობთ როგორც თეორიულ, ასევე, კვლევით მასალას თანამშრომლობითი გარემოს პრაქტიკული დანერგვის ხელშესაწყობად.

- დემოკრატია მრავალფეროვნების შენარჩუნებას, დაცვასა და დაფასებას გულისხმობს. ჩვენი ნომერი გთავაზობთ ევროპის საბჭოს რეკომენდაციას განათლებაში რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ.

- თანამედროვე ეპოქა ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაა. განათლებაში ციფრული ტრანსფორმაცია სხვადასხვა ფორმით ვლინდება და არაერთ ახალ შესაძლებლობასა თუ პერსპექტივაზე გვაფიქრებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი ჟურნალი ვიდეოთამაშების საკითხს ეხება. ვიდეოთამაშები ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი სერიოზული გატაცებაა და სწავლა-სწავლების პროცესის სერიოზულ კონკურენტადაც მოიაზრება, თუმცა ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ვიდეოთამაშების პედაგოგიკური პოტენციალის გააზრებაზე, რასაც ჩვენც ვეცდებით ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან, რათა შევძლოთ და მაქსიმალურად სასარგებლო გავხადოთ ჩვენი ბავშვების დრო, რომელსაც ვიდეოთამაშებზე ხარჯავენ.

იმედი გვაქვს, გასული წელი ყველა გამოწვევას წაიღებს და 2024 წელი კიდევ უფრო წარმატებული, ბედნიერი და საინტერესო იქნება – „სკოლის მართვის“ სარედაქციო გუნდი საუკეთესო სურვილებით გილოცავთ ახალ 2024 წელს!

შინაარსი N3, 2023

განათლების ისტორია

03 როგორი თვალსაჩინო სურათები სჭირია ჩვენს სკოლას და რა ვიზანს უნდა ფეფფერებოდეს ის
ნაწყვეტი

მთავარი თემა

05 გერიპა შუკაპიძე
საერთო სასკოლო მიდგომა სკოლებში თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურის უზრუნველსაყოფად

კვლევა

10 მაია არაბიაშვილი
სკოლის ორგანიზაციული კულტურა
კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

14 ნათია ნაცვლიშვილი
მასწავლებლების თანამშრომლობის მნიშვნელობა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვაში
კვლევის შედეგები

მთავარი თემა

18 პრაქტიკული რეკომენდაციები სადავო საკითხებზე მსჯელობისა და სკოლის დემოკრატიული, თანამშრომლობითი კულტურის ხელშესაწყობად

დირექტორის ბიბლიოთეკა

25 რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზოგილება ინტერკულტურულ განათლებაში
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 10 დეკემბერს დამტკიცებული რეკომენდაცია CM/REC (2008) 12 და განმარტებითი მემორანდუმი

ციფრული ტრანსფორმაცია

37 ნინო გაგელიძე
ციფრული ტრანსფორმაცია – ვიდეოთამაშების პოტენციური სარგებელი

44 არის თუ არა ვიდეოთამაში ახალი სასწავლო ინსტრუმენტი?
თარგმა თეონა სილაგაძემ

47 ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა და LVLUP! რეტროთამაშების ვირტუალური ტური
თარგმა თეონა სილაგაძემ

სკოლა და კანონმდებლობა

49 დენის წურწუმია
ციფრული სერვისების ინტეგრაცია სასკოლო განათლებაში

53 ნატა ვაჭარაძე
სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პირთა ურთიერთობის საგარეთლებრივი რეგულირება

როგორი თვალსაჩინო სურათები სჭირია ჩვენს სკოლას და რა მიზანს უნდა შეეფერებოდეს ის

ნაწყვეტი

მასწავლებელი
ა. დოგოროჯვინიძე

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, 1914 წელი, #6

... მასალა, რომელზედაც დღესაც შეუძლია სახალხო მასწავლებელს ნაყოფიერი საუბრები იქონიოს და უეჭველი სარგებელიც მოიტანოს, საჭიროა, განაწილებულ იქნას კონცენტრაციულად, ცენტრად კი სკოლა იქნას აღსარებული. მაგალითისათვის, აქვე ვეცდები დავანაწილო სასაუბრო მასალები, რომელიც შეეხება მშობლიურს ბუნებასა და ყოფა-ცხოვრების შესწავლას და რომლის დროსაც შესაფერისი სურათებით ხელმძღვანელობა ფრიად სასარგებლოა.

I

1. თუ სკოლა ცენტრად იქნა აღსარებული, მაშინ პირველ საუბრის მასალად სკოლავე იქნება. საუბარი შეიძლება ოთხ ნაწილად გაიყოს: საუბარი კლასზე, რაც თვით კლასში იწარმოებს, საუბარი ეზოზე, რაც სკოლის ეზოში შესრულდება, საუბარი სკოლის ბაღზე — ბაღში. ეს საუბრები თავის თავად თვალსაჩინო და ადვილი გასაგებია ბავშვთათვის, რაც მათში სიხალისეს და მუყაითობას იწვევს, მეოთხე საუბარი დასკვნა იქნება პირველ წრეში გაცნობილ მასალათა. ამ საუბარშივე მასწავლებელი ადარებს ერთმანეთს სკოლასა და ოჯახს, მასწავლებელ-აღმზრდელებს და მშობლებს, ჰპოვებს დიდს მზგავსებას მათ შორის და შემდეგ წრეებში გადააქვს თავისი საუბარი.
2. საუბარი ოჯახზეა გადატანილი. ოჯახთან ყოველი ბავშვი იმდენად დაახლოვებულია, რომ ეს საუბარი მსწრაფლ შესათვისებელი სახალისოა მისთვის, ამავე წრეში მოვაქცევთ იმ მასალებსაც, რაც ოჯახს გარშემო არტყია: ეზო, ბაღი, ბოსტანი, სახლი, მარანი, შინაური ფრინველიები და ცხოველები და სხ. ადგილობრივ ცხოვრებიდან ამ წრეში არსებულ მასალების სურათები დიდს დაკვირვებას იწვევს ბავშვებში, რაც გონებრივის განვითარების უპირველესი ფაქტორია.

> საზოგადოების ყოველ გვარს გაუმჯობესებას ყოველთვის სკოლის გაუმჯობესებასთან აქვს დამოკიდებულება. საჭიროა ახალი ხალხი, ახალი ძალები — ისინი სკოლამ უნდა მოგვცეს. სადაც საზოგადოებრივს ცხოვრებას განსაზღვრული ფორმა მიუღია, იქ სკოლაც შესაფერისად არის მოწყობილი, იგი სავსებით ეგუება და ანგარიშს უწევს საზოგადოების აზრს.

ახალი სურათები წინდაწინ შემუშავებულ გეგმის თანახმად უნდა იქმნას შესრულებული, ხოლო მთელი მასალა სურათებისა კი უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან საუბარის შინაარსს, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შესდგებოდეს ელემენტარულის თანდათანობით ერთმანეთზე გადაბმულ მოკლე საუბრებისაგან.

შენიშვნა. (ეძლევა ბავშვებს) ვინ რა მონაწილეობას მიიღებს მშობლებთან ერთად ბოსტნის ან ბაღის მოშენებაში, საქონლის მოვლაში.

3. მესამე წრეში მოთავსდება მასალები, რომელიც სკოლასა და ოჯახს გარეთ იმყოფება: ა) ყანები და მათი დამუშავება, ბ) ველი და მდინარე, გ) ტყე და შიგ მობინადრე ფრინველ-ცხოველები. საუბარი სურათების საშუალებით უნდა გაცხოველდეს, ხოლო შინაარსი წარუშლელ უნდა ჰყოს ბავშვთა მეხსიერებაში ექსკურსიამ და ყოველივეს ადგილობრივ დათვალიერებამ.

შენიშვნა. ვინ რა მონაწილეობას მიიღებს ბალახის გათიბვაში, ყანის აღებაში, ყორძნის კრეფაში და სხ.

სამივე წრეში მოთავსებული მასალები სამშობლო სოფლის ფარგლებს არ გასცილებია. ამიტომ შესაძლებელია მათი ერთს დიდ წრეში მოთავსება რასაც სამშობლო სოფლის შესწავლა შეიძლება ეწოდოს. გადავიდეთ მეორე კონცენტრიულ წრეზე.

II

სურათებისა და შედარებითი საუბრებით მასწავლებელი აცნობს ბავშვებს გარეშემო სოფლების ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებას, რაც არ განსხვავდება უკვე გაცნობილ სამშობლო სოფლიდან. საჭიროა, დროგამოშვებითი ექსკურსიების მოწყობა. ამგვარად ბავშვები ეცნობიან ბუნებისა და მცხოვრებთა ყოფას მთელი სამშობლო მხარისა (მაგ. გურია).

III

მესამე კონცენტრიულ წრეში მოთავსდება სამშობლო ქვეყნის შესწავლა (საქართველო). ვხელმძღვანელობთ სურათებით და შედარებითი მეთოდით; თუ შესაძლებელი დარჩა — ექსკურსიითაც.

ზემო აღნიშნული მასალების თავის დროზე სწავლებით ჩვენ ხელს შევუწყობთ მოწაფეთაგან „ბუნების კარში“ მოთავსებულ მასალების საშუალებით სამშობლოს საფუძვლიანად შესწავლას და ამრიგად სახალხო სკოლა მოგვცემს ნორმალურ-პრაქტიკლად მომზადებულს საშობლოს მცოდნე მოზარდ თაობას, რაც ფასდაუდებელი მოვლენა იქნება ჩვენი ერის ცხოვრებაში.

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, რომ ერთი სამწუხარო მოვლენა არ გვეღობებოდეს წინ: ეს არის მიზნის შესაფერ სურათების უქონლობა. ჩვენი სკოლა მოუთმენლად ელის ჩვენივე სამშობლოს ბუნებიდან და ცხოვრებიდან ამოღებულ სურათების სერიას. საჭიროა წ.კ.გ. საზოგადოება ყურადღებით მოეპყრას ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და მიანდოს საზოგადოებასთან არსებულ სასკოლო სექციას წინასწარი გეგმის შედგენა, რის განხორციელებაც შეიძლება თანდათანობით, აუჩქარებლივ სისრულეში მოვიდეს. ყოველი ქართველის ვალია, ხელი შეუწყოს სკოლის ამ მოთხოვნილების განხორციელებას.

საერთო სასკოლო მიდგომა
სკოლებში თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურის უზრუნველსაყოფად

გერიკა შუკაკიძე
მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრის დირექტორი

სკოლის დირექტორის ფუნქციები შესაძლებელია განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა ის გზა, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს სწავლა-სწავლებას, ყველგან ერთია. თანამშრომლობის საფუძველზე და კოლეგების მხარდაჭერით სწავლა, ე.ი. როდესაც მასწავლებლები სწავლობენ სხვა მასწავლებლებისაგან, არა მხოლოდ თქვენს სკოლაში სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება, არამედ სკოლის განვითარებისათვის საჭირო რესურსების გაუმჯობესებასაც. ამ პროცესის წარმატება კი ხშირად სკოლის ხელმძღვანელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რომელიც გულისხმობს მასწავლებლების ჩართვას გადაწყვეტილებების ინიცირების პროცესში და, ასევე, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასა და მხარდაჭერას.

ჩვენი მზარდად კომპლექსური და დინამიკური საზოგადოებები საჭიროებს, რომ სკოლაში – როგორც საკლასო გარემოში, ასევე, მის ფარგლებს მიღმა – ნებისმიერ სასწავლო აქტივობას საფუძვლად ედოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების პრინციპები. განათლების დონე, რომელიც დღევანდელ ახალგაზრდებს კეთილდღეობისთვის, წარმატებული მომავლისთვის ესაჭიროებათ, გაცილებით ბევრს გულისხმობს, ვიდრე წერის, კითხვისა და მიმატება-გამოკლების უნარებს. განათლება, რომელსაც დღევანდელი ახალგაზრდები უნდა ფლობდნენ, მოიცავს:

- მსოფლიოს უკეთ აღქმა-გააზრებას;
- ლოგიკურ, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას;
- აბსტრაქტულის კონკრეტულთან დაკავშირების უნარს;
- აბსტრაქტული ცნებებისა და სიმბოლოების აღქმის უნარს;
- ფაქტებისა და კვლევების შედეგად გაკეთებული დასკვნების ინტერპრეტირების უნარს;
- დამოუკიდებლად სწავლისა და თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის უნარს.

ერთი სიტყვით, თანამედროვე განათლება გულისხმობს ფუნქციურ წიგნიერებას. ეს ყოველივე კი სკოლაში ერთი მასწავლებლის ან ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენლის ძალისხმევით ვერ მიიღწევა. საჭიროა შეთანხმებული საქმიანობა, საერთო სასკოლო მიდგომა და მჭოდრო, მიზნობრივი თანამშრომლობა.

ერთი სიტყვით, თანამედროვე განათლება გულისხმობს ფუნქციურ წიგნიერებას. ეს ყოველივე კი სკოლაში ერთი მასწავლებლის ან ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენლის ძალისხმევით ვერ მიიღწევა. საჭიროა შეთანხმებული საქმიანობა, საერთო სასკოლო მიდგომა და მჭოდრო, მიზნობრივი თანამშრომლობა.

» საერთო სასკოლო ხედვით კი, სასკოლო საგნები შესაძლებელია აღქმულ იქნეს როგორც ერთი კომპლექსური, მაგრამ ფუნქციური შინაარსი, რომელშიც თითოეული ხმა მკაფიოდ ისმის, ვინაიდან გუნდი ერთ სიმღერას ასრულებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლას ერთიანი, გაზიარებული საგანმანათლებლო მიზანები გააჩნია.

ჩვენ მიერ ნაგულისხმევი ფუნქციური წიგნიერება სცდება კონკრეტული მეცნიერების დარგისა და მის შესახებ ცოდნის ფარგლებს და აერთიანებს ყველა მეცნიერების დარგსა თუ მათთან დაკავშირებულ ცოდნას. უფრო მეტიც, იგი ქმნის საერთო საფუძველს, რომელიც გამოკვეთს თითოეული აკადემიური საგნის დანიშნულებასა და მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთ მომზადებას იმ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომლის წინაშეც ისინი დღეს დგანან ან მომავალში აღმოჩნდებიან. ამ კომპლექსური ამოცანის გადაჭრაში ყველაზე წარმატებულად სწორედ კომპლექსური – საერთო სასკოლო მიდგომა გვეხმარება.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე განათლების კომპლექსურობაში ერთი საკითხიც იჩენს თავს, რაც ძალიან ფრთხილ და, ასევე, თანამშრომლობით ძალისხმევას მოითხოვს – როგორ გავუმკლავდეთ სასკოლო სივრცეში ე.წ. სადავო საკითხებზე მუშაობას. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით, ამ საკითხსაც შევეხოთ საერთო სასკოლო მიდგომის ჭრილში.

თანამედროვე განათლების ხასიათად მოაზრებული ე.წ. ფუნქციური წიგნიერების ამგვარი კონცეფცია ესადაგება კროსკულტურულ მიდგომებს. სასკოლო საგნების დონეზე, სწავლებისა და სწავლის პროცესი არ საჭიროებს რესტრუქტურიზაციას. ნაცვლად ამისა, საჭიროა სწავლებისა და სწავლის პროცესების ჩართვა უფრო ფართო პერსპექტივაში, მათი თავმოყრა და ერთი მთლიანის ფუნქციურ ნაწილად ქცევა, კავშირების გაბმა. ყველა სასკოლო საგანი სასწავლო გეგმაში მოცემულ ერთ კონკრეტულ შინაარსზეა ორიენტირებული და იმ კონკრეტულ მეთოდებსა და აზროვნებისა თუ მსჯელობის ფორმებს ეყრდნობა, რომელსაც მოცემული შინაარსი და თემა საჭიროებს. საერთო სასკოლო ხედვით კი, სასკოლო საგნები შესაძლებელია აღქმულ იქნეს როგორც ერთი კომპლექსური, მაგრამ ფუნქციური შინაარსი, რომელშიც თითოეული ხმა მკაფიოდ ისმის, ვინაიდან გუნდი ერთ სიმღერას ასრულებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლას ერთიანი, გაზიარებული საგანმანათლებლო მიზნები გააჩნია.

სწავლების პროცესში საერთო სასკოლო მიდგომა ეხმარება მასწავლებლებს, ერთიან და შეკრულ გუნდად იმუშაონ სკოლის საზოგადოების ფარგლებში, რადგან მათი სწავლების პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, თუ ერთმანეთისგან რამდენად განსხვავებულ საგნებს ასწავლიან ისინი მოსწავლეებს, საერთო მიზანების მიღწევას, საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებასა და საერთო გამოწვევებთან გამკლავებას ემსახურება.

ყველა მასწავლებელი ერთი და იგივე ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებს ემსახურება და, შესაბამისად, ერთსა და იმავე მრავალფეროვნებასთან აქვთ შეხება, მაგალითად, მოსწავლეთა სწავლის უნარებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით. გარდა ამისა, სასკოლო დემოკრატიული კულტურის შეთვისება და დანერგვაც მათთვის საერთო სასკოლო ამოცანას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთო სასკოლო მიდგომის წარმატებით გამოყენება-დანერგვისათვის სკოლებს ინტერდისციპლინური სწავლების მიდგომაც ესაჭიროებათ (რასთან დაკავშირებითაც ჩვენი ჟურნალის არაერთ ნომერში ვისაუბრეთ), რათა მოსწავლეებს მისცენ საშუალება, დახვეწონ და განავითარონ ის უნარები, გამოიმუშაონ ის დამოკიდებულებები და შეითვისონ და გაითავისონ ის ღირებულებები, რომლებიც მათ დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისათვის, ფუნქციური წიგნიერების შეთვისებისა და დემოკრატიული საზოგადოებების შენარჩუნებისთვის სჭირდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესი, შესაძლოა, სკოლის ადმინისტრაციის მიერ იყოს ინიცირებული, საერთო სასკოლო მიდგომის თანმიმდევრული, კოლექტიური და თანამშრომლობითი მეთოდი გულისხმობს სკოლის მთლიანი საზოგადოების, მშობლებისა და ადგილობრივი საზოგადოების სრულფასოვან, მიზნობრივ ჩართულობას. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომა მაქ-სიმალურად უწყობს ხელს სწავლების, როგორც სასკოლო ცხოვრების ძირითადი პრინციპის აღქმას, რომელიც ხორციელდება საკლასო გარემოში, სკოლის ეზოში თუ სკოლის სხვა არაფორმალურ სივრცეში, ასევე, სკოლის შენობის მიღმაც. არ არსებობს სასკოლო საგანი, რომელიც არ ემსახურება განათლების ამ კონკრეტული მიდგომის წარმატებით დანერგვას.

საერთო სასკოლო მიდგომის მთავარი საყრდენი და ხერხემალი თანამშრომლობაა, რომელიც მოიცავს მრავალ განზომილებას და სრულებითაც არ არის ადვილად მისაღწევი ამოცანა.

იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლობა არ არის ყველას მიერ გაზიარებული სასურველი კონცეფცია და გუნდურობა საერთო სულისკვეთებას არ წარმოადგენს, მასწავლებელს მარტოს უწევს კლასებთან მუშაობა. დროთა განმავლობაში, მასწავლებლებს შესაძლოა მექანიკური ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ მოსწავლეებთან და ყურადღების მიღმა დარჩეთ მნიშვნელოვა-ნი ნიუანსები თუ ასპექტები, რომელთა ამოცნობაც ადვილად შეუძლია კოლეგებთან თანამშრომლობის შემთხვევაში.

მასწავლებელს შესაძლებელია მხარდაჭერა სჭირდებოდეს საკუთარი სამუშაოს შესასრულებლად და თქვენმა თანადგომამ შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს სასკოლო კლიმატი. მოსწავლეებისაგან მიღებული უკუკავშირი ყოველთვის ღირებულია, თუმცა კოლეგებისგან მიღებული უკუკავშირი ხშირად უფრო მაღალი ხარისხის არის, ვინაიდან კოლეგა პროფესიული ხედვით აფასებს შესრულებულ სამუშაოს. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები ხშირად გაურბიან და არცთუ დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე კოლეგების დასწრების პერსპექტივას. ქვევით მოცემული რეკო-

ყველა მასწავლებელი ერთი და იგივე ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებს ემსახურება და, შესაბამისად, ერთსა და იმავე მრავალფეროვნებასთან აქვთ შეხება, მაგალითად, მოსწავლეთა სწავლის უნარებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით. გარდა ამისა, სასკოლო დემოკრატიული კულტურის შეთვისება და დანერგვაც მათთვის საერთო სასკოლო ამოცანას წარმოადგენს.

მენდაციები დაგეხმარებათ, გაამხნევოთ მასწავლებლები ჩაერთონ კოლეგების მიერ ერთმანეთის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვების პროცესში (იხ. ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი I, განათლება დემოკრატიისათვის https://www.living-democracy.com/ textbooks/volume-1/part-2/unit-5/chapter-2/lesson-11/)

განათლების სფეროში მრავლად არის საკითხები, რომლებზეც მუდმივად მიმდინარეობს მსჯელობა და, ასევე, მუდმივად ჩნდება სიახლეებიც. შეუძლებელია, სკოლის ხელმძღვანელი ყველაფრის შესახებ ფლობდეს ინფორმაციას, თუმცა სკოლის მასწავლებლები ან მშობლები შეიძლება ფლობდნენ ინფორმაციის რაღაც ნაწილს,

ჯგუფის მოცულობა:	სამი მასწავლებლისგან შემდგარი გუნდი კოლეგებისგან უკუკავშირის მისაღებად
ორგანიზება:	გუნდში შემავალი მასწავლებლები ერთმანეთის გაკვეთილებს ესწრებიან, სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ: სასწავლო წლის განმავლობაში, თითოეული მასწავლებლის ორ გაკვეთილს ესწრება ორ-ორი მასწავლებელი; შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს, სასწავლო წლის განმავლობაში, უწევს, დაესწროს სხვა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ ოთხ გაკვეთილს. სამი მასწავლებელი ერთად ადგენს გაკვეთილებზე დასწრების გეგმას, არსებული განრიგის მიხედვით. გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელი, რომლის გაკვეთილსაც ესწრებოდნენ გუნდის წევრი სხვა მასწავლებლები, საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს გაკვეთილის შესახებ, ხოლო დამსწრეები უკუკავშირს ამყარებენ მასთან.
სასკოლო საგანი:	მასწავლებლები ესწრებიან და აკვირდებიან ერთმანეთის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა საგანს ასწავლის სკოლაში მასწავლებელი
ჯგუფის შედგენა:	ერთ ჯგუფად გაერთიანება შესაძლებელია პირადი კეთილგანწყობის საფუძველზეც, რაც ურთიერთნდობის გარანტი შეიძლება იყოს. მასწავლებლებს აუცილებლად უნდა განემარტოთ, რომ გაკვეთილის მიმდინარეობაზე მათი დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.
სკოლის ხელმძღვანელის ფუნქცია:	სკოლის ხელმძღვანელის ფუნქციაა, თვალი ადევნოს გაკვეთილებზე დასწრების სიხშირეს. ხშირად სკოლის ხელმძღვანელი შესაძლოა არც მონაწილეობდეს მასწავლებლების მიერ გაკვეთილების შესახებ წამოჭრილი საკითხების განხილვაში. ამით, საჭიროების შემთხვევაში, გამოკვეთს მასწავლებლების პედაგოგიურ ავტონომიას.
თემატიკა:	კითხვები, რომლებიც მასწავლებლებს ებადებათ ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრებისას, შესაძლებელია უკავშირდებოდეს მასწავლებლების განსხვავებულ ინტერესებსა და დამოკიდებულებებს: ა) მასწავლებელს სურს, მოისმინოს კოლეგების კომენტარი გარკვეულ საკითხებზე; ბ) ახალი პროგრამის, მეთოდისა ან აქტივობის შეფასების საჭიროება; გ) პედაგოგიკური პრინციპების (მაგალითად, სკოლის პროგრამაში ფორმულირებული კონცეფციების) შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესი, შესაძლოა, სკოლის ადმინისტრაციის მიერ იყოს ინიცირებული, საერთო სასკოლო მიდგომის თანმიმდევრული, კოლექტიური და თანამშრომლობითი მეთოდი გულისხმობს სკოლის მთლიანი საზოგადოების, მშობლებისა და ადგილობრივი საზოგადოების სრულფასოვან, მიზნობრივ ჩართულობას.

რომლის მთელი გუნდისთვის გაზიარებაც სკოლისთვის სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს. იქნებ ღირდეს ამ შესაძლებლობის გამოყენება საერთო სასკოლო მიდგომის განსამიტკიცებლად და თანამშრომლობითი კლიმატის გასაძლიერებლად?

ბუნებრივია, მასწავლებელი სკოლას უნდა აღიქვამდეს, როგორც სწავლაზე ორიენტირებულ საზოგადოებას და საზოგადოებას, სადაც სწავლება-სწავლის პროცესი ხორციელდება. სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თანამშრომლობა არა მხოლოდ მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას უწყობს ხელს, არამედ, ასევე, ეხმარება საზოგადოების წევრებს, განიმტკიცონ ცოდნა და აიმაღლონ თვითშეფასება. ეს ნიშნავს დინამიკურ და კომპეტენტურ მონაწილეობას, პრაქტიკის საშუალებით.

სწავლების თვალსაზრისით, სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოება ორ ძირითად ელემენტს ეფუძნება: სწავლების სწავლასთან დაკავშირებასა და თანამშრომლობის კულტურის შექმნასა და დამკვიდრებას, რომელიც სწორედ ზემოხსენებულ მიზანს ემსახურება.

იმისათვის, რომ მასწავლებლებმა სწავლაზეორიენტირებულისაზოგადოებისმოთხოვნების შესაბამისად იმოქმედონ, ისევ და ისევ, საჭიროა მათ თანამშრომლობის კულტურა აერთიანებდეთ. თუ თითოეული მოსწავლის მოსწრება საერთო მიზანს წარმოადგენს, თითოეულმა მასწავლებელმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ამ მიზნის მიღწევაში, სხვადასხვა კუთხით, ან იმ საგნების შეთავაზებით, რომლის სწავლებაზეც ისინი არიან პასუხისმგებელი, ან მათ მიერ საგნის სწავლებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდებითა და სტრატეგიებით. აქედან გამომდინარე, მასწავლებელთა თანამშრომლობა არ შემოიფარგლება სასკოლო პროგრამით განსაზღვრული ტრადიციული საკითხებით, აქტივობებითა თუ დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხებით, არამედ იგი, ასევე, უნდა მოიცავდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული საჭიროებს ერთად მუშაობას, სწავლების პრაქტიკის განხილვასა და გაანალიზებას, ერთობლივ მსჯელობას, რაც ემსახურება პროფესიული, სამეცნიერო, პედაგოგიკური თუ დიდაქტიკური ასპექტების გაუმჯობესებას. ამგვარი თანამშრომლობა მოითხოვს და უზრუნველყოფს თანამშრომლობის უნარების განვითარებასა და დახვეწას, რომლებიც მოქალაქეებს ასევე ესაჭიროებათ დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისათვის.

სკოლის ორგანიზაციული კულტურა

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

მაია არავიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ანალიტიკური სამსახურის უფროსი

» დადებითი და მდგრადი სასკოლო კულტურა და კლიმატი უკავშირდება და შეიძლება პროგნოზირებდეს კიდეც ახალგაზრდების პოზიტიურ განვითარებას, რისკის ეფექტურ პრევენციას და ჯანმრთელობის ხელშეწყობას, აკადემიურ წარმატებას, კურსდამთავრებულების გაზრდილ მაჩვენებელს და მასწავლებლის პროფესიაში შენარჩუნებას.

განათლების თანამედროვე თეორიების მიხედვით, სკოლის კულტურა და კლიმატი გავლენას ახდენს სკოლის სხვადასხვა ასპექტზე. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლის ჯანსაღ და მდგრად განვითარებასთან, სკოლის თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასთან და კეთილდღეობასთან, სწავლა-სწავლების მიზნებთან და მნიშვნელოვანია აკადემიური წარმატებისათვის (Fullan, 2007).

ბოლო 30 წლის განმავლობაში ემპირიული კვლევების მზარდმა რაოდენობამ აჩვენა, რომ დადებითი და მდგრადი სასკოლო კულტურა და კლიმატი უკავშირდება და შეიძლება პროგნოზირებდეს კიდეც ახალგაზრდების პოზიტიურ განვითარებას, რისკის ეფექტურ პრევენციას და ჯანმრთელობის ხელშეწყობას, აკადემიურ წარმატებას, კურსდამთავრებულების გაზრდილ მაჩვენებელს და მასწავლებლის პროფესიაში შენარჩუნებას (Cohen et al 2009, Thapa et al 2013). როდესაც სკოლები მყარად არიან ფოკუსირებულნი უსაფრთხო, ჯანსაღი და მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე, მოსწავლეები უფრო მეტად ერთვებიან სასწავლო პროცესში, აქვთ აკადემიური მიღწევები და პოზიტიური ურთიერთობები. მეორე მხრივ, სკოლის დადებითი კულტურა ასევე ამცირებს მასწავლებლის მონაცვლეობას და ამაღლებს საქმიანობით კმაყოფილების ხარისხს. სკოლა არის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი ყველა საზოგადოებისთვის, სადაც მოსწავლეები იღებენ იმ გამოცდილებას, რომლიც გავლენას ახდენს მათ მომავალ პირად კეთილდღეობაზე და აკადემიურ წარმატებაზე.

დადებითი და ჯანსაღი სასკოლო კულტურა არის წინაპირობა ხარისხიანი სასწავლო პირობების შექმნისა და სკოლის თემის ეფექტურობისათვის. თითოეულ სკოლას გააჩნია საკუთარი კულტურა, რომელიც ქმნის სკოლის კლიმატს და ადგილობრივად განვითარებული გარემოების შესახებ აგზავნის ძლიერ გზავნილს პედაგოგებისთვის და მოსწავლეებისთვის (Wilen et al 2000). კვლევები აჩვენებს, რომ სკოლის მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელშესაწყობად, აუცილებელია სკოლის კულტურისა და კლიმატის მნიშვნელობის გათვალისწინება. სკოლის კულტურის შესახებ ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია იმ კავშირების გასაგებად, რომელიც არსებობს სკოლის კულტურის ასპექტებსა და სწავლების პროცესს შორის. სკოლის კულტურის შესწავ-

ლანებისმიერი შიდა და გარე ცვლილებების აუცილებელი წინაპირობაა, რაც ხელს უწყობს სკოლის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებს. აქედან გამომდინარე, საინტერესო ხდება, გავიგოთ, თურა გავლენა აქვს ქართულ საგანმანათლებლო ცვლილებებს სკოლის კულტურაზე, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს სწავლების ხარისხს.

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ზოგადი ორგანიზაციული კულტურის კერძო ნაწილია, რომლის კვლევისა და ანალიზისათვის საერთაშორისო სამეცნიერო თუ პროფესიულ წრეებში ბევრი კონკრეტული კვლევითი მოდელი თუ ინსტრუმენტია შემუშავებული. თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ნაკლებად შეინიშნება სკოლის ორგანიზაციული კულტურის შესახებ არსებული სამეცნიერო თუ პოპულარულ-საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომების სიუხვე. ამ მიმართულების კვლევა შედარებით ახალია საქართველოს განათლების სისტემაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, საჯარო სკოლებში პროფესიული თანამშომლობის, კოლეგიალობისა და თვითდეტერმინაცია/ეფექტიანობის პრაქტიკების მაჩვენებლები მაღალია. რესპონდენტები თვლიან, რომ მასწავლებლები და ადმინისტრაცია საუბრობენ სკოლის მიღწევებზე და დადებით ფაქტებზე, რაც განამტკიცებს სკოლის ღირებულებებს; ზოგჯერ მასწავლებლები სკოლის გარეთაც მართავენ შეხვედრებს, რადგან სიამოვნებთ ერთმანეთის გარემოცვაში ყოფნა; სკოლა წარმოადგენს ერთობას; შინაგანაწესში გათვალისწინებულია ხშირი კომუნიკაციის შესაძლებლობა მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის; ამასთანავე, ადმინისტრაცია ხელს უწყობს ახალი იდეების განვითარებას, რომლებიც მიეწოდება სკოლის წევრებისგან.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესთან და-

თითოეულ სკოლას გააჩნია საკუთარი კულტურა, როგელიც ქმნის სკოლის კლიმატს და ადგილოგრივად განვითარეგული გარეგოეგის შესახეგ აგზავნის ძლიერ გზავნილს პედაგოგეგისთვის და მოსწავლეეგისთვის.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დიაგრამა N1:

განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღების რომელი გზები გამოიყენება თქვენს სკოლაში?



» კვლევის შედეგების მიხედვით, პროფესიული თანამშრომლობის ყველა ფორმა მოხვდა დადებითი შეფასების ველში, რაც მათ მაღალ ინტენსივობაზე მიუთითებს. ყველაზე ინტენსიურად შეფასდა მასწავლებლებისთვისა და ადმინისტრაციისთვის განაწილებული დროის კოლექტიურ, და არა ინდივიდუალურ ინტერესებზე მორგება, სხვა პრაქტიკებთან შედარებით.

კავშირებულ საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში, სკოლებში იმართება სხვადასხვა სახის შეხვედრები, მათ შორის: კათედრის სხომა, ადმინისტრაციის სხდომა, მშობელთა კრება და სხვ. რესპონდენტები ხაზს უსვამენ აღნიშული შეხვედრების მნიშვნელობას, თუმცა შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ არაფორმალურ გარემოში გამართულ შეხვედრებს. რაც შეეხება განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღების ფორმებსა თუ გზებს, რესპონდენტები მკვეთრად პოზიტიურად აფასებენ სიახლეების შესახებ კომუნიკაციის ინტენსივობას.

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი სრულად იზიარებს მოსაზრებებს მათ სკოლებში კოლეგის წარმატების/განსაკუთრებული მიღწევების აღნიშვნის, ასევე, მასწავლებლების ურთიერთნდობისა და გუნდური მუშაობის შესახებ. ამავე რაოდენობის რესპონდენტი მიუთითებს, რომ მოწესრიგებულია კომუნიკაცია მშობლებთან. მაგალითისათვის, სკოლის შინაგანაწესში დადგენილია მშობლებთან შეხვედრის გრაფიკი, მასწავლებლებსა და მშობლებს მსგავსი მოლოდინები აქვთ მოსწავლის შედეგებთან დაკავშირებით, მათ მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ მოსწავლის საერთო შედეგებთან დაკავშირებით. რესპონდენტთა 70%-ზე მეტი მიუთითებს სკოლის ადმინისტრაციის მიერ მასწავლებლებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობისა და სამუშაოს კარგად შესრულებისთვის მასწავლებლის დაჯილდოების შესახებ. რესპონდენტთა 77% სრულად იზიარებს თვალსაზრისს, რომ როგორც მასწავლებლის, ასევე, მოსწავლის ჩაცმულობა არ უნდა იყოს გამომწვევი. რესპონდენტთა დიდი ნაწილი უარყოფს სკოლაში დამცირება/შეურაცხყოფის (ბულინგის) ფაქტების არსებობას, როგორც მასწავლებლებს, ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეების მიმართ და მოსწავლეებს შორის.

რესპონდენტებმა შეაფასეს, თუ რამდენად ინტენსიურია მათ სკოლებში პროფესიული თანამშრომლობა სხვადასხვა პერსონალს შორის. კვლევის შედეგების მიხედვით, პროფესიული თანამშრომლობის ყველა ფორმა მოხვდა დადებითი შეფასების ველში, რაც მათ მაღალ ინტენსივობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ინტენსიურად შეფასდა მასწავლებლე-

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი N1:

რამდენად ხშირად გვხვდება თქვენს სკოლაში პროფესიული თანამშრომლობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმები?	საერთო
შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს – „არასოდეს“, 5 – „ყოველთვის“. სკალის ნეიტრალური პუნქტია 3; მონაცემები 3-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები 3-ზე ქვევით – უარყოფითი შეფასების ველს.	
მასწავლებლები და ადმინისტრაცია ერთობლივად განიხილავენ სასწავლო სტრატეგიებსა და პროგრამებს	4.14
მასწავლებლები და ადმინისტრაცია ერთად მუშაობენ სკოლის შინაგანაწესის შედგენაზე	4.21
მასწავლებლები ჩართული არიან სასწავლო მასალებსა და რესურსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების საკითხებში	4.11
მოსწავლეთა ქცევის კოდექსზე სკოლის წევრები ერთობლივად მუშაობენ და ის ერთობლივი შეთანხმების პროდუქტია	4.21
მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის განაწილებული დრო მორგებულია კოლექტიურ, და არა ინდივიდუალურ ინტერესებზე	4.30

ბისთვისა და ადმინისტრაციისთვის განაწილებული დროის კოლექტიურ, და არა ინდივიდუალურ ინტერესებზე მორგება, სხვა პრაქტიკებთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ კვლევაში სჭარბობს მკვეთრად პოზიტიური განწყობები და დამოკიდებულებები, იმავე საკითხზე თვისებრივი კვლევის მონაცემებში კი ფიქსირდება გარკვეული სირთილეები და გამოწვევები. თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები:

1. სკოლის ორგანიზაციული კულტურის გასავითარებლად, სკოლებს ხელი უნდა შევუწყოთ რეალური ავტონომიურობით სრულფასოვნად და ადეკვატურად ისარგებლონ;
2. სკოლის ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, პირველ რიგში, პერსონალის საჭიროებების ანალიზით უნდა დაიწყოს. ერთგვარ ვალდებულებად უნდა ექცეთ დირექტორებს წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს წინაშე შემაჯამებელი ანგარიშით წარდგომისას, კვლევის ანგარიშის ანალიზის საფუძველზე შეიტანოს ცვლილებები საკუთარი სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში;
3. სკოლის ორგანიზაციული კულტურის მთავარ ინდიკატორებად განიხილება სკოლის მისია და შინაგანაწესი. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საჯარო სკოლებს დეკლარირებული აქვთ სკოლის მისია, თუმცა ნაკლებად/არ არის განსაზღვრული დოკუმენტი, რომელიც ამ მისიის განხორციელების გზებსა და ხერხებს გააჟღერებდა. ხშირად პედაგოგიური კოლექტივი არა თუ გეგმავს და ახორციელებს სწავლებას სკოლის მისიის შესატყვისად, არამედ არც კი იცნობს მას. ამდენად, სკოლის ორგანიზაციული კულტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს სკოლის მისიის არსსა და საჭიროებაზე, რათა იგი სკოლებისთვის, ქაღალდზე გაწერილი ლოზუნგის ნაცვლად, ქმედით დოკუმენტად იქცეს;
4. მნიშვნელოვანი იქნება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების წევრების გადამზადებას, რათა მათ გააცნობიერონ თავიანთი ფუნქცია და მნიშვნელოვანი როლი სკოლის ცხოვრებაში და შეიძინონ გარკვეული კომპეტენციები ორგანიზაციის მართვის თვალსაზრისით;
5. სასკოლო სივრცეში ცალსახა დისკრიმინაციული ტენდენციების გამოვლენის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სადამრიგებლო საათის პირობებში მასწავლებელებისათვის/დამრიგებლებისათვის შესაბამისი თემატიკისათვის დროის დათმობის ვალდებულება; ამ მიმართებით გარკვეული მონიტორინგის სისტემის მოდელის შექმნა (მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა უკუკავშირი და რეფლექსია), შესაბამისი რესურსით სკოლების მომარაგება და დისკრიმინაციული ქცევების კორექციის მიზნით მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინფორმირება სხვადასხვა სერვისის მიწოდების გზით;
6. სასკოლო თემის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, შეთავაზებულ იყოს ერთობლივი, თანამონაწილეობითი მომზადება-გადამზადების სერვისები.

სამომავლოდ, მნიშვნელოვანია სკოლის ორგანიზაციული კულტურის მიმართულებით კვლევების გააქტიურება და, მონაცემებზე დაფუძნებით, სკოლებისთვის რეკომენდაციების შეთავაზება, რომელიც გაითვალისწინებდა სკოლების სპეციფიკურ საჭიროებებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, საჯარო სკოლებში პროფესიული თანამშრომლობის, კოლეგიალობისა და თვითდეტერმინაცია ეფექტიანობის პრაქტიკების მაჩვენებლები მაღალია.

მასწავლებლების თანამშრომლობის მნიშვნელობა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვაში

კვლევის შედეგები

ნათია ნაცვლიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს 11 რეგიონის 103 სკოლის 1103 რესპოდენტი (მასწავლებელთა გენერალური ერთობლიობის 2%) – 1007 მასწავლებელი, 87 დირექტორი და 9 დირექტორის მოადგილე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2018 წლიდან ახორციელებს დემოკრატიული კულტურისა და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობის პროგრამას. პროგრამის მიზანია სკოლებში დემოკრატიული კულტურის და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობა, სასკოლო საზოგადოებაში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება და მათ ხელშეწყობაზე ორიენტირებული ღონისძიებების ორგანიზება. დასახული მიზანი ხორციელდება პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ამოცანების და ამ ამოცანების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების თუ აქტივობების საშუალებით. პროგრამაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კვლევების ორგანიზება, რომელიც საშუალებას იძლევა, შევაფასოთ, თუ როგორ მიმდინარეობს სკოლებში დემოკრატიული კულტურის და ადამიანთა უფლებების სწავლება, კომპეტენციების დანერგვა და რა საჭირეობები დგას სკოლების წინაშე ამ მიმართულებით.

შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, დემოკრატიული კულტურისა და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობის პროგრამისა და ანალიტიკური სამსახურის საქმიანობის ფარგლებში, ჩაატარა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვის კვლევა, რომლის მიზანიც იყო საქართველოს მასშტაბით სკოლებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მიმართულებით სიტუაციის შეფასება, რაც, მომავალში მიღებულ მონაცემებზე დაფუძნებით, მასწავლებლების საჭიროებაზე მორგებული შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას მოგვცემს.

კვლევის კონკრეტულ ამოცანებს წარმოადგენდა:

- მასწავლებელთა შორის დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ცნობადობის დადგენა;
- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ინფორმირებულობის შესახებ წყაროებისა და ფორმების გამოვლენა;
- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის პრო-

ცესში ცნობადობის და ინფორმირებულობის შეფასება პოზიციების (დირექტორი/მასწავლებელი), საფეხურების (დაწყებითი/საბაზო/საშუალი) და საგნობრივი ჯგუფების ჭრილებში.

- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის ინტენსიობის დადგენა
- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის პროცესში ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა;
- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის პროცესში სასურველი დამხმარე ფაქტორების დასახელება;



სკოლებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სიღრმისეულად შესასწავლად გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდი, რაც გულისხმობს ორი ტიპის მეთოდოლოგიის გამოყენებას, როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს. კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს 11 რეგიონის 103 სკოლის 1103 რესპოდენტი (მასწავლებელთა გენერალური ერთობლიობის 2%) – 1007 მასწავლებელი, 87 დირექტორი და 9 დირექტორის მოადგილე.

კვლევის ფარგლებში არაერთი საყურადღებო დეტალი გამოიკვეთა, თუმცა, მოცემული სტატიის ფარგლებში, ჩვენ შევჩერდებით მასწავლებლების დამოკიდებულებაზე კოლეგებთან თანამშრომლობის მიმართ, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვის თვალსაზრისით.

როგორც მოგეხსენებათ, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოში მოცემულია 20 კომპეტენცია: 3 ღირებულება, 6 დამოკიდებულება, 8 უნარი, 3 ცოდნა და კრიტიკული გააზრება.

კვლევის ფარგლებში, დემოკრატიული კულტურის თითოეული კომპეტენცია შეფასდა რესპონდენტის მიერ, თუ რამდენად ახერხებდა იგი მოსწავლეებში ამ კომპეტენციების განვითარებას. ასევე, რესპონდენტები ირჩევდნენ კომპეტენციის განვითარების 20 ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორიდან მათთვის რელევანტურს და, კომპეტენციის განვითარების მიმართულებით დახმარების სურვილის შემთხვევაში, აკონკრეტებდნენ ფორმას / ტიპს, რომელიც ჩამონათვალის სახით მიეწოდათ რესპონდენტებს.

საყურადღებოა, რომ კოლეგებთან თანამშრომლობა რესპონდენტთა მხრიდან კომპეტენციების განვითარებაში ყველაზე მეტად ხელშემწყობ ფაქტორებში დასახელდა, განსაკუთრებით ეს ეხება შემდეგ კომპეტენციებს:

ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება

გრაფიკი #1 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „ადამიანის

მოცემული სტატიის ფარგლებში, ჩვენ შევჩერდებით მასწავლებლების დამოკიდებულებაზე კოლეგებთან თანამშრომლობის მიმართ, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვის თვალსაზრისით.

ღირსების და უფლებების დაფასების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: კლასგარეშე/არაფორმალური აქტივობები, კოლეგებთან თანამშრომლობა, სკოლის დირექცია და მშობელთა ჩართულობა. ყველაზე ნაკლებად კი სახელდება კონფერენციების და რესურსცენტრების ფაქტორი.

გრაფიკი #1.



კულტურული მრავალფეროვნების დაფასება

გრაფიკი #2 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „კულტურული მრავალფეროვნების დაფასების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: კლასგარეშე/არაფორმალური აქტივობები, კოლეგებთან თანამშრომლობა, საგნობრივი სახელმძღვანელოები და ეროვნული სასწავლო გეგმა.

გრაფიკი #2.



პატივისცემა

აღსანიშნავია, რომ პატივისცემის კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: კოლეგებთან თანამშრომლობა, კლასგარეშე არაფორმალური აქტივობები, მშობელთა ჩართულობა, სკოლის დირექცია და საგაკვეთილო დრო.

გრაფიკი #3.



გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება

„გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების“ კომპეტენციის (რომელიც, ზოგადად, ერთ-ერთ ყველაზე რთულად განსავითარებელ კომპეტენციად დასახელდა) განვითარებაში მასწავლებლებ-

მა კოლეგებთან თანამშრომლობა კვლავ აქტიურ დამხმარე ფაქტორად დაასახელეს.

მსგავსი შედეგები გამოვლინდა „ემპათიის“ კომპეტენციის განვითარების თვალსაზრისითაც.

გრაფიკი #4.



თანამშრომლობის უნარ-ჩვევები

ხოლო რაც შეეხება „თანამშრომლობის უნარ-ჩვევების“ განვითარებას მოსწავლეებში, ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ სწორედ კოლეგებთან თანამშრომლობა ეხმარებათ.

გრაფიკი #5.



კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები

„კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევების“ კომპეტენციის განვითარების ყველაზე ხელშემწყობ ფაქტორად რესპონდენტთა მიერ სკოლის დირექციის მხარდაჭერა, შემდეგ კი კოლეგებთან თანამშრომლობა დასახელდა.

გრაფიკი #6.



ამ მონაცემების გაზიარებით, გვინდოდა, ყურადღება გაგვემახვილებინა ამ უკიდურესად მნიშვნელოვან ფაქტორზე, რომ მასწავლებლები და სკოლის დირექტორები, სკოლებში დემოკრატიული კულტურის ხელშეწყობის თვალსაზრისით, სწორედ კოლეგებთან თანამშრომლობას მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტიურად მხარდამჭერ და მნიშვნელოვან ფაქტორად. იმედს ვიტოვებთ, რომ რესპონდენტთა ეს ტენდენცია მხოლოდ პასიურ დამოკიდებულებად არ რჩება და აქტიურ სასკოლო პრაქტიკას წარმოადგენს ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად.

პრაქტიკული რეკომენდაციები სადავო საკითხებზე მსჯელობისა და სკოლის დემოკრატიული, თანამშრომლობითი კულტურის ხელშესაწყობად

» ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში არის ის, რომ მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ, რომ მათ უსმენენ, როდესაც ისინი საუბრობენ და რომ საზოგადოება პატივისცემას გამოხატავს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა თუ შეხედულებების მიმართ.

სკოლის ყოველდღიური ცხოვრების ხარისხი და კულტურა ზემოქმედებს მოსწავლეთა სწავლის ხარისხსა და მათ აკადემიურ მიღწევებზე. იგივე შეიძლება ითქვას სადავო საკითხებთან დაკავშირებითაც. რთულ საკითხებზე მსჯელობა დისკომფორტს უქმნის მასწავლებლებსაც, მოსწავლეებსაც და მათ მშობლებსაც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სკოლაში დამკვიდრდეს ისეთი თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც საშუალებას მისცემს სკოლის საზოგადოების წევრებს, **თავისუფლად ისაუბრონ საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხებზე და, ამავდროულად, არ ჰქონდეთ შიშის განცდა, რომ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო ვინმე გაკიცხავს.**

ბუნებრივია, ამისათვის აუცილებელია ხელშემწყობი გარემო და კლიმატი. რა ელემენტებს მოიცავს ამგვარი კულტურა? კულტურა, რომელიც ხელს უწყობს რთულ საკითხებზე თავისუფლად მსჯელობისთვის საჭირო გარემოს შექმნას, არის კულტურა, რომელიც არის:

- **უსაფრთხო** – არავინ ხდება ჩაგვრის, შეურაცხყოფისა და დაშინების მსხვერპლი;
- **მეგობრული** – ყველა ადამიანი აღიქმება პიროვნებად და ყველა პიროვნება თავს გრძნობს, როგორც სკოლის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი;
- **ღია** – ყველა სარგებლობს თავისუფლებით, ჰქონდეს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და შეხედულება;
- **ინკლუზიური** – ყველა სარგებლობს თანაბარი უფლებით, მონაწილეობა მიიღოს სკოლის ფარგლებში გამართულ ნებისმიერ ღონისძიებასა თუ აქტივობაში;
- **ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული** – დაცულია ყველას უფლება, განსაკუთრებით, გამოხატვის თავისუფლება, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება, კონფიდენციალობა და დამამცირებელი მოპყრობისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლება;
- **დემოკრატიული** – ყველა მონაწილეობს სკოლის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კარგად ფორმულირებული და სამართლიანი შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი და მათი სათანადოდ გატარება წინ გადადგმული ნაბიჯია სკოლაში სასურველი კულ-

ტურის დამკვიდრების მიმართულებით. ეს ეხება როგორც წესებს, რომლებიც არეგულირებს სკოლის საზოგადოების წევრების ყოველდღიურ ქცევას სკოლასა თუ სკოლის შემოგარენში, ასევე, წესებს, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ საკლასო გარემოში, მსჯელობისა და დისკუსიების წარმართვის დროს.

სცადეთ, დაფიქრდით, შეგიძლიათ დაასახელოთ ისეთი სადავო საკითხი, რომლის საკლასო გარემოში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის განხილვასაც ზღუდავს სკოლაში დამკვიდრებული კულტურა? ასეთის არსებობის შემთხვევაში, გაუზიარეთ ეს საკითხები თქვენს კოლეგებს და სცადეთ, ახსენით, როგორ და რატომ იზღუდება მათი განხილვა საკლასო გარემოში.

მნიშვნელოვანია იმის გააზრებული ცოდნა, თუ რამდენად აძლევს თქვენს სკოლაში დამკვიდრებული ეთოსი და კულტურა სკოლის საზოგადოების წევრებს საშუალებას, ისაუბრონ და იმსჯელონ რთულ საკითხებზე. ერთი გზა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მზად არის თქვენი სკოლა მოსწავლეებთან მსგავს საკითხებზე მსჯელობისათვის, არის მარტივი გამოკითხვის ჩატარება, რომელიც სკოლის საზოგადოების განწყობასა და დამოკიდებულებებს ავლენს. ზოგადი სურათის მისაღებად, რეკომენდებულია გამოკითხვაში, მოსწავლეებისა და მასწავლებლების გარდა, მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა მშობლებმაც.

ქვევით მოცემულია რამდენიმე ზოგადი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემაც შეგიძლიათ სთხოვოთ ნებისმიერ პირს, რომელიც სკოლის საზოგადოებასთან ასოცირდება:

შეგიძლიათ დაასახელოთ ისეთი სადავო საკითხი, რომლის საკლასო გარემოში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის განხილვასაც ზღუდავს სკოლაში დამკვიდრებული კულტურა?

სკოლის კულტურა – დამოკიდებულებების კვლევა

სკოლაში:

1. როგორ გეპყრობიან სხვა პირები?
2. რამდენად დაცულად და უსაფრთხოდ გრძობთ თავს?
3. როდესაც პრობლემას აწყდებით, იცით ზუსტად ვის უნდა მიმართოთ?
4. რამდენად გისმენენ გარშემომყოფები და რამდენად ითვალისწინებენ ისინი თქვენს აზრს?
5. რამდენად გეძლევათ შესაძლებლობა, გამოხატოთ თქვენი შეხედულება თუ მოსაზრება?
6. რამდენად ხშირად გაქვთ შესაძლებლობა, გაუზიაროთ საკუთარი შეხედულება თუ მოსაზრება სკოლის საზოგადოების რომელიმე წარმომადგენელს და იმსჯელოთ ამ მოსაზრების შესახებ?
7. სარგებლობთ სიტყვის უფლებით, როდესაც წარმოებს სკოლის წესების დადგენა ან რაიმე საკითხზე გადაწყვეტილების მიღება?
8. როგორი ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობის მქონე მოსწავლეებს ერთმანეთთან?
9. რამდენად უწყობს ხელს თქვენს სკოლაში დამკვიდრებული კულტურა ისეთი პირების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები არიან, ან განსხვავებულ ეთნიკურ, ენობრივ ან რელიგიურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან?

» მოსწავლეებს ხშირად უჭირთ სადავო საკითხების შესახებ მსჯელობაში ჩართვა, თუ მათ არ აქვთ სკოლაში პოზიტიურ გარემოში დისკუსიების გამოცდილება.

მოსწავლეებს ხშირად უჭირთ სადავო საკითხების შესახებ მსჯელობაში ჩართვა, თუ მათ არ აქვთ სკოლაში პოზიტიურ გარემოში დისკუსიების გამოცდილება. თუ მოსწავლეებს ხშირად ვაძლევთ კლასში საუბრის შესაძლებლობას, ისინი ეჩვევიან თავიანთი მოსაზრებების სხვების წინაშე გამოთქმას. ეს ეხმარება მათ, უფრო მეტი თავდაჯერებით წარსდგნენ საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლისას და მეტად იყვნენ მზად მსგავსი გამოცდილების მისაღებად.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში არის ის, რომ მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ, რომ მათ უსმენენ, როდესაც ისინი საუბრობენ და რომ საზოგადოება პატივისცემას გამოხატავს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა თუ შეხედულებების მიმართ.

თქვენ რითაც შეგიძლიათ დაეხმაროთ მასწავლებლებს, რათა მათ შეძლონ მოსწავლეებისათვის სათანადო გარემოს შექმნა და საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობის მიცემა, არის მათთვის ე.წ. სარეკომენდაციო სიის მიწოდება, რომელიც მათ გაკვეთილის დაგეგმვისას უნდა გამოიყენონ. გარკვეული დროის მანძილზე ამ სიით სარგებლობის შემდეგ, მასწავლებლები აღმოაჩენენ, რომ ისინი სიაში მოცემულ პირობებს ავტომატურად ასრულებენ. ამგვარი სარეკომენდაციო სიით თქვენ, ასევე, შეგიძლიათ ისარგებლოთ გაკვეთილების მონიტორინგისა და შეფასების დროსაც.

ქვევით გთავაზობთ სარეკომენდაციო სიაში შესატანი საკითხების ნიმუშებს:

რამდენად ეძლევათ მოსწავლეებს საშუალება გაკვეთილზე თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები

გაკვეთილის განმავლობაში ეძლევათ მოსწავლეებს შემდეგი შესაძლებლობები?

კითხვის დასმა
მოსაზრების გამოთქმა
სხვა მოსწავლეებთან გასაუბრება
პრაქტიკული წინადადებით გამოსვლა
კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება

თქვენ უკვე კარგად იცნობთ ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს, რომლის დანერგვის ერთ-ერთი რეკომენდაციაც სწორედ საერთო სასკოლო მიდგომის პრინციპს მოიაზრებს.

ქვემოთ გთავაზობთ რჩევებს, თუ როგორ უნდა შეუწყოთ ხელი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვას საერთო სასკოლო მიდგომის გზით.

სწავლის მიზანი	მასწავლებლები ეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელს. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ დემოკრატიული კულტურა და ინტერკულტურული დიალოგი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და წარმოადგენს სასკოლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ სასკოლო განათლება მთავარ როლს ასრულებს მოსწავლეებში იმ კომპეტენციების განვითარების მიმართულებით, რომლებიც მათ დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის სჭირდებათ, როგორც სკოლის ფარგლებში, ასევე, მომავალში, როგორც ზრდასრულ მოქალაქეებს.
ამოცანები	მასწავლებლები ეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელში მოცემულ კომენტარებს. ასევე, ეცნობიან შერჩეულ თავებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სახელმძღვანელოდან, აცნობენ მათ შინაარსს ერთმანეთს და მსჯელობენ მათზე. სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მასწავლებლები განიხილავენ სკოლის განვითარების გეგმას და მსჯელობენ სწავლისა და პროფესიული განვითარების საჭიროებებზე.
რესურსები	თითო ასლი ყოველი მონაწილისთვის: ევროპის საბჭოს პუბლიკაცია, **დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები** (სახელმძღვანელო). **„დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები: დიაგრამა“**
მეთოდები	ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, მსჯელობა, პრეზენტაცია
კომენტარები	აუცილებელია, მასწავლებლები აცნობიერებდნენ, თუ რატომ და რა მიზნით უნდა ჩაერთონ თავიანთი სკოლის, როგორც დემოკრატიული სასკოლო საზოგადოების განვითარების საქმეში. ჩვენ გთავაზობთ მთელი სკოლის კოლექტივისთვის, სკოლის ხელმძღვანელისა და ხელმძღვანელის მოადგილეების ჩათვლით, თვეში ერთი დღე გამოაცხადოთ სკოლის ფარგლებში პროფესიული მომზადების დღედ. სკოლის ხელმძღვანელს შეუძლია, პროფესიული განვითარებისადმი მიძღვნილი ამ ღონისძიების ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა და მისი მართვა შესთავაზოს

	მასწავლებელთა გუნდს. ამ შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელსა და მოადგილეებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების მიზნით ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში. ჯგუფური მუშაობის მეთოდი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, ერთმანეთთან ისაუბრონ და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა არამხოლოდ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შესახებ, არამედ ამოცანაზე/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის თაობაზე და იმსჯელონ მიმდინარე პრობლემებზე თუ სკოლისთვის აქტუალურ საკითხებზე. თითოეული მონაწილე თავის თავზე იღებს ვალდებულებას, საკუთარ კოლეგებს გააცნოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელის ერთი კონკრეტული ასპექტი და მოისმინოს, სხვა მასწავლებლები როგორ ხსნიან ამ მოდელის სხვა ასპექტებს. ამგვარად ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა შესაძლებელია გახდეს შემდგომში დისკუსიების, პროფესიული მომზადების მიზნით გამართული სამუშაო შეხვედრებისა, ან კონკრეტული ზომებისა და ღონიძიებების გატარების საფუძველი. რეკომენდებულია, სკოლის ხელმძღვანელმაც მასწავლებლებთან ერთად დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრის დასრულებისას.

» სკოლის ხელმძღვანელს შეუძლია, პროფესიული განვითარებისადმი მიძღვნილი ამ ღონისძიების ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა და მისი მართვა შესთავაზოს მასწავლებელთა გუნდს.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელის საკითხებთან დაკავშირებით, სკოლის ფარგლებში, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების მიზნით ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა

1. **შესავალი; დაახლოებით, 20 წუთი**
   - შეხვედრის მიზანი და ამოცანები
   - დღის წესრიგი და განრიგი ეტაპები 1-3 (აუცილებელია დღის წესრიგისა და დროის განრიგის დადგენა, რათა ღონისძიება სრულყოფილად წარიმართოს მისთვის გამოყოფილ დროში), ვიზუალური მასალა (პრეზენტაცია ან მონაწილეებისათვის საინფორმაციო ფურცლების დარიგება) დაგეხმარებათ დროის დაზოგვაში.
   - ტექნიკური მხარე (მაგ. მასალები) და ორგანიზება
   - მასწავლებლები ნაწილდებიან გუნდებში, ამასთან, თითოეულ გუნდში წარმოდგენილი უნდა იყოს, დაახლოებით, 6 მასწავლებელი; გუნდები და მათი განლაგების სქემა გამოსახული უნდა იყოს დაფაზე.
2. **მასწავლებლები ეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელს და ერთმანეთს უზიარებენ შეძენილ ცოდნას (ჯგუფური მუშაობა, დისკუსია)**

ეტაპი 2.1: დავალებების გადანაწილება გუნდის წევრებს შორის (დაახლოებით, 36 მასწავლებელი); დაახლოებით, 30 წუთი

- 36 მასწავლებელი ნაწილდება 6 წევრისგან შემდგარ 6 გუნდში, გუნდები იდენტიფიცირდება ანბანის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო შეხვედრაში 72 ან მეტი მასწავლებელი მონაწილეობს, ისინი ადგენენ ცალკე ექვს გუნდიან ქსელს, ამასთან, გუნდები შესაბამისად იდენტიფიცირდება ანბანის მიხედვით. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მასწავლებელი მონაწილეობს სამუშაო შეხვედრაში, გუნდები შეიძლება

რიცხობრივად გაიზარდოს და ერთ გუნდში 6 მასწავლებლის მაგივრად წარმოდგენილი იყოს 8 მასწავლებელი.

მასწავლებლები ეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელში მოცემულ პეპელასა და შესაბამის კომენტარებს.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები

- გუნდის თითოეული წევრი ასრულებს მისთვის განკუთვნილ ამოცანას 1-6:
  1. ახსენით კულტურის ცნება. მოიყვანეთ ინტერკულტურული დიალოგის მაგალითი თქვენი სკოლის ცხოვრებიდან.
  2. ახსენით ცნებები „კომპეტენცია“ და კომპეტენციები“. მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება კომპეტენციათა ჯგუფის მობილიზება კონკრეტულ სიტუაციაში.
  3. ახსენით ღირებულებების მნიშვნელობა კომპეტენციათა მოდელში და მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ღირებულებები დემოკრატიული კულტურისა და სკოლის საზოგადოებაში.
  4. ახსენით დამოკიდებულებების მნიშვნელობა კომპეტენციათა და მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამოკიდებულებები დემოკრატიული კულტურისა და სკოლის საზოგადოებაში.
  5. ახსენით უნარების მნიშვნელობა კომპეტენციათა მოდელში და მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნარები დემოკრატიული კულტურისა და სკოლის საზოგადოებაში.
  6. ახსენით ცოდნისა და კრიტიკული გააზრების მნიშვნელობა კომპეტენციათა მოდელში და მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოდნა და კრიტიკული გააზრება დემოკრატიული კულტურისა და სკოლის საზოგადოებაში.
  7. იმშემთხვევაში, თუ ჯგუფში 6-ზე მეტი მასწავლებელია წარმოდგენილი, ამოცანის შესრულება შეუძლია ორ მასწავლებელს ერთად, წყვილში მუშაობის საშუალებით.

ეტაპი 2.2: კვლევითი ჯგუფების მომზადება (1-6); დაახლოებით, 45-60 წუთი

- მასწავლებლები ნაწილდებიან ჯგუფებში ნომრებით 1-6. ჯგუფ # 1 წარმოდგენილები იქნებიან ის მასწავლებლები, რომლებსაც წილად ხვდათ ამოცანა #1, და ჯგუფი ერთობლივად იწყებს მუშაობას ამოცანაზე. ჯგუფებში 2-6 ანალოგურად ნაწილდებიან მასწავლებლები იმ ამოცანის ნომრების მიხედვით, რომლებიც მათ ერგოთ.
- მონაწილეები ეცნობიან მათთვის განკუთვნილ მასალას. ისინი ცდილობენ, ერთად ახსნან და განმარტონ ის ელემენტები, რომლებიც შეიძლება მარტივი გასაგები არ იყოს და ამზადებენ ინფორმაციას, რომელიც მათ თავიანთი თავდაპირველი ჯგუფის (ანბანური განაწილება) წევრებს უნდა გააცნონ. მათ ევალებათ მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, და არა საკუთარი მოსაზრებებისა და მსჯელობის გაზიარება.
- ყველა მონაწილეს აქვს სწავლების გამოცდილება, შესაბამისად, მათ კარგად ეცოდინებათ, რომ ჯგუფის წევრებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია მოკლე და ლაკონური უნდა იყოს, აქტივობისთვის განკუთვნილი დრო ჯგუფის ექვ-

ჯგუფური მუშაობის მეთოდი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, ერთმანეთთან ისაუბრონ და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა არამხოლოდ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შესახებ, არამედ ამოცანაზე/პროგლემაზე დაფუძნებული სწავლის თაობაზე და იმსჯელონ მიმდინარე პროგლემებზე თუ სკოლისთვის აქტუალურ საკითხებზე.

» ამგვარად ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა შესაძლებელია გახდეს შემდგომში დისკუსიების, პროფესიული მომზადების მიზნით გაგართული სამუშაო შეხვედრებისა, ან კონკრეტული ზომებისა და ღონისძიებების გატარების საფუძველი.

სივე წევრს შორის თანაბრად უნდა გადანაწილდეს.

ეტაპი 2.3: პრეზენტაციები და ჯგუფური განხილვა; დაახლოებით, 60-75 წუთი

- მონაწილეები თავთავიანთ პირველად ჯგუფებს უბრუნდებიან.
- ისინი თავიანთი გუნდის დანარჩენ წევრებს რიგრიგობით უხსნიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის იმ ასპექტს, რომელიც მათ დაამუშავეს. გუნდის წევრები იცავენ რეგლამენტს, რათა უზრუნველყონ ის, რომ გუნდის ყველა წევრს მიეცეს საშუალება, ისაუბროს იმ ასპექტზე, რომელიც მათ ხვდათ წილად.
- იმ შემთხვევაში, თუ დრო ამის საშუალებას იძლევა, ჯგუფის წევრებს შეუძლიათ, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები და შთაბეჭდილებები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის შესახებ.

,

3. **შეჯამება სრული შემადგენლობით; დაახლოებით 60-75 წუთი**
   - ყველა მონაწილე თავს ერთად იყრის და ისინი ემზადებიან შეჯამებისთვის.
   - მონაწილეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს: რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რას მიიჩნევენ უმნიშვნელოდ; რის შესახებ ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის მიღებას; რა შეიტყვეს მათ საკუთარი კომპეტენციების შესახებ და ა.შ. მონაწილეების მიერ გამოთქმულ ინდივიდუალურ მოსაზრებებზე კომენტარი არ კეთდება და მსჯელობა არ იმართება, ვიდრე არ ამოიწურება საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის მსურველები. ამის შემდეგ მონაწილეებს ეძლევათ საშუალება, გააკეთონ კომენტარები და იმსჯელონ წამოჭრილ საკითხებზე.
   - მონაწილეები განიხილავენ და გეგმავენ შემდგომ გასატარებელ ღონისძიებებსა თუ ზომებს, მაგალითად:
     - შეფასება: დემოკრატიული კულტურა ჩვენი სკოლის საზოგადოებაში: პერსპექტივები, ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები;
     - რა წვლილის შეტანა შემიძლია, მაგ. საკუთარი მაგალითით გავაცნო მოსწავლეებს ისეთი ცნებები, როგორიცაა ინტერპერსონალური და ინტერკულტურული დიალოგი;
     - როგორ შემიძლია განხილული საკითხები ჩავრთო ჩემი სწავლების პრაქტიკაში;
     - სწავლების კონტექსტში რა ამოცანები უნდა დავსახოთ დემოკრატიული კულტურის ხელშესაწყობად?
     - რა დამატებითი ინფორმაციის მიღება გვსურს და რა საკითხებში გვჭირდება პროფესიული მომზადება?

სკოლის ხელმძღვანელი ისმენს მასწავლებლების მიერ გამოთქმულ სურვილებსა და მოსაზრებებს და შემდეგ პასუხობს მათ. შეხვედრის დასრულებამდე, სკოლს დირექტორი და მასწავლებლები თანხმდებიან შემდეგ ღონისძიებაზე ან ღონისძიებებზე, რომლებსაც ისინი ერთობლივად განახორციელებენ.

რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილება ინტერკულტურულ განათლებაში

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 10 დეკემბერს დამტკიცებული რეკომენდაცია CM/REC (2008) 12 და განმარტებითი მემორანდუმი

ნანუკა ვეტი

წინამდებარე რეკომენდაციაში წარმოდგენილია პერსპექტივა, რომელიც გულისხმობს რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების გათვალისწინებას ინტერკულტურული განათლების სფეროში, მთელი რიგი პრინციპების, მიზნებისა და სწავლებისა თუ სწავლის მეთოდების ჩამოყალიბების საშუალებით.

წინამდებარე რეკომენდაცია მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, 2008 წლის 10 დეკემბერს და წარმოადგენს ევროპის საბჭოს განათლების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განხორციელებული პროექტის: „ინტერკულტურული განათლების ახალი გამოწვევა: რელიგიური მრავალფეროვნება და დიალოგი ევროპაში" (2002 – 2005 წლები) საბოლოო შედეგს.

წინამდებარე რეკომენდაციით ყოველდღიურად შეუძლიათ ისარგებლონ ხელისუფლებების წარმომადგენლებმა, სასწავლო პროგრამების ავტორებმა, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელმა პირებმა და მასწავლებლებმა, იმ კომპეტენციათა განვითარების მიზნით, რომლებიც საჭიროა ინტერკულტურული დიალოგის წარმართვისა და იმ დაბრკოლებათა გადალახვისათვის, რომლებიც წინ ეღობება რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნებისადმი სათანადო დამოკიდებულებას სასკოლო გარემოში.

მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისადმი გაცემული

რეკომენდაცია CM/REC (2008) 12

რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილების შესახებ ინტერკულტურულ განათლებაში

დამტკიცებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 10 დეკემბერს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1044-ე სხდომაზე

ევროპის საბჭოს წესდების მე-15 მუხლის ბ) პუნქტის თანახმად, მინისტრთა კომიტეტი,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთობის მიღწევა, დემოკრატიული მოქალაქეობის გაძლიერების საშუალებით;

მხედველობაში იღებს რა ევროპის კულტურულ კონვენციას (1954, ETS No.18), რომელშიც გამოკვეთილია განათლების მნიშვნელობა ხალხებს შორის ურთიერთგაგების უზრუნველყოფის საქმეში;

მხედველობაში იღებს რა მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისადმი გაცემულ რეკომენდაციას No. R (84) 18, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებელთა მომზადებას ინტერკულტურული განათლებისათვის, განსაკუთრებით, მიგრაციასთან კავშირში;

ითვალისწინებს რა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების თაობაზე მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისათვის გაცემულ რეკომენდაციაში Rec(2002)12 მოცემულ დებულებებს, რომელთა თანახმადაც:

- განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის წარმოადგენს სოციალური ინტეგრაციის, ურთიერთგაგების, ინტერკულტურული და რელიგიათშორისი დიალოგისა და სოლიდარობის წინაპირობას;

- და რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების დანერგვა მოითხოვს განსხვავებების აღიარებასა და მიღებას, აგრეთვე, ინფორმაციისადმი, აზროვნების ტიპებისადმი და ფილოსოფიური, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კონცეფციებისადმი კრიტიკული მიდგომის განვითარებას და, ამავდროულად, ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებებისა და პრინციპებისადმი ერთგულების შენარჩუნებას;

მხედველობაში იღებს რა მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ მიღებულ რეზოლუციას Res(2003)7, რომლის თანახმადაც ინტერკულტურული დიალოგი, განსაკუთრებით კი ცივილიზაციათა შორის დიალოგის ხელშეწყობა და, აგრეთვე, მშვიდობის უზრუნველყოფა წარმოადგენს მომავლის პრიორიტეტულ საკითხებს;

ითვალისწინებს რა საპარლამენტო ასამბლეის მიერ ევროპაში განათლების შესახებ გაცემულ რეკომენდაციას 1111 (1989), რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ტოლერანტობისა და სოლიდარობის მიღწევა შესაძლებელია „სხვების“ უკეთ გაგებისა და მათ შესახებ ინფორმაციის ფლობის საფუძველზე;

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თაობაზე საპარლამენტო ასამბლეის მიერ გაცემულ რეკომენდაციას 1346 (1997), რომელშიც გაჟღერებულია მოწოდება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა მიმართ პატივისცემისა და ტოლერანტობის გაღრმავებისათვის საჭირო ელემენტების შემოტანის შესახებ;

ითვალისწინებს რა საპარლამენტო ასამბლეის მიერ რელიგიისა და დემოკრატიის თაობაზე გაცემულ რეკომენდაციას 1396 (1999), რომელიც წევრ ქვეყნებს რელიგიებთან და რელიგიებს შორის უკეთესი ურთიერთობების დამყარებისაკენ, და ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად მათი რელიგიური მრწამსისა, ადათ-წესებისა და რიტუალური წეს-ჩვეულებებისა, განათლების სფეროში თავისუფლებისა და თანაბარი უფლებების უზრუნველყოფისაკენ მოუწოდებს;

ითვალისწინებს რა საპარლამენტო ასამბლეის მიერ განათლებისა და რელიგიის თაობაზე გაცემულ რეკომენდაციას 1720 (2005), რომელშიც გაცხადებულია, რომ განათლებას არსებითი მნიშვნელობა აქვს რელიგიური უმეცრების აღმოსაფხვრელად, რელიგიური სტერეოტიპების დასაძლევად და რელიგიების არასწორად აღქმის თავიდან ასაცილებლად;

ითვალისწინებს რა სახელმწიფოს, რელიგიის, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა თაობაზე საპარლამენტო ასამბლეის მიერ გაცემულ რეკომენდაციას 1804 (2007), რომელიც ურჩევს მინისტრთა კომიტეტს, მოუწოდოს წევრ სახელმწიფოებს, რათა მათ უზრუნველყონ მასწავლებლების მომზადება და პროფესიული გადამზადება როგორც დღევანდელი სახით არსებულ, ასევე, ისტორიის მანძილზე არსებულ რელიგიათა ობიექტური, მიუკერძოებელი და დაბალანსებული სწავლების მიზნით; და, ასევე, უზრუნველყონ ყველა რელიგიური ლიდერის მომზადება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, განსაკუთრებით, იმ რელიგიურ ლიდერთა, რომლებსაც საგანმანათლებლო ფუნქცია აკისრიათ და ამ კუთხით შეხება აქვთ მოზარდ თაობასთან;

ითვალისწინებს რა მკრეხელობის, რელიგიური შეურაცხყოფისა და ინდივიდის მიმართ რელიგიური მოტივით სიძულვილის ენის გამოყენების თაობაზე საპარლამენტო ასამბლეის მიერ გაცემულ რეკომენდაციას 1805 (2007), რომელიც მინისტრთა კომიტეტს ურჩევს, დაავალოს შესაბამის საორგანიზაციო კომიტეტს წევრ სახელმწიფოთა განათლების სამინისტროებისათვის პრაქტიკული სახელმძღვანელო დებულებების შემუშავება, რომლებიც მოემსახურება სხვადასხვა რელიგიათა წარმომადგენელ მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებასა და ტოლერანტული ურთიერთობის დამყარებას;

ეყრდნობა რა ევროპულ კონფერენციას თემაზე: ინტერკულტურული განათლების რელიგიური განზომილება (ოსლო, 2004 წლის 6-8 ივნისი), რომლის თანახმადაც, ევროპის განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედი კონფერენციის 21-ე სხდომაზე (ათენი, 2003 წლის 10-12 ნოემბერი) გამოტანილი დასკვნების შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებში იკვეთება გარემოებები, რომლებიც მოითხოვს ამ სახელმწიფოთა სკოლებში ინტერკულტურული განათლების რელიგიური განზომილების დანერგვას;

მხედველობაში იღებს რა ევროპის კულტურული კონვენციის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით მიღებულ ვროცლავის დეკლარაციას (2004 წლის 10 დეკემბერი), რომელშიც ყურადღება გამახვილებულია, საერთო ღირებულებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ინტერკულტურული და რელიგიათშორისი დიალოგის სისტემატური

წახალისების მნიშვნელობაზე, როგორც ცნობიერების ამაღლებისა და ურთიერთგაგების გაღრმავების, კონფლიქტების თავიდან აცილების, მშვიდობის ხელშეწყობისა და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფის საშუალებაზე, როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური განათლების საშუალებით;

მხედველობაში იღებს რა ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-3 სამიტზე მიღებულ სამოქმედო გეგმას (ვარშავა, 2005 წლის 16-17 მაისი), რომელშიც ყურადღება ექსკლუზიურად გამახვილებულია ინტერკულტურულ დიალოგსა და რელიგიურ მრავალფეროვნებასთან ასოცირებულ კონკრეტულ გამოწვევებზე;

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა კომისრის ინიციატივებს ინტერკულტურული დიალოგის სფეროში და, კონკრეტულად, ვოლგის ფორუმის დეკლარაციას (2006 წელი), რომელიც მიღებულ იქნა კულტურათა შორის დიალოგისა და რელიგიათა შორის თანამშრომლობის თემაზე, 2006 წლის 7-9 სექტემბერს ნიჟნი ნოვგოროდში გამართულ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთა მიერ, რომელიც მოუწოდებს ევროპის საბჭოს რელიგიურ ორგანიზაციებთან დიალოგის დაწყებისაკენ, საყოველთაო ღირებულებებისა და პრინციპების საფუძველზე;

ითვალისწინებს რა ინტერკულტურული დიალოგის რელიგიური განზომილების თემაზე, 2007 წლის 23 და 24 აპრილს, სანმარინოში გამართული ევროპის კონფერენციის საბოლოო დეკლარაციას;

მხედველობაში იღებს რა 2008 წლის 7 მაისს სტრასბურგში გამართულ მინისტრთა კომიტეტის 118-ე სხდომაზე მიღებულ ნორმატიულ დოკუმენტს ინტერკულტურული დიალოგის თაობაზე, სახელწოდებით „ღირსეული თანაცხოვრება თანასწორობის პრინციპის დაცვით", რომელშიც ნათქვამია, რომ კულტურული მრავალფეროვნების ჩვენეული ხედვა უნდა ეფუძნებოდეს მსოფლიოში არსებული ძირითადი რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობას და საზოგადოებაში მათი როლის გაცნობიერებას;

იხსენებს რა ევროპის საბჭოს 2008 წლის მიმართვას ინტერკულტურული დიალოგის რელიგიური განზომილების შესახებ (სტრასბურგი, 2008 წლის 8 აპრილი), რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზგასმით იქნა აღნიშნული ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პლურალისტულმა, დემოკრატიულმა საზოგადოებამ უზრუნველყოს სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდების ინფორმირებულობა მათი მსოფლმხედველობისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობების შესახებ;

ითვალისწინებს რა იმ ფაქტს, რომ ოსლოში (ნორვეგია) ჩამოყალიბდა ევროპის რესურს-ცენტრი, რომელიც კურირებს ინტერკულტურული ურთიერთგაგების, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების საკითხებს, რომელიც ითანამშრომლებს ევროპის საბჭოსთან და რომლის მისიასა და დანიშნულებასაც წარმოადგენს ინტერკულტურული ურთიერთგაგების, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა, მათ შორის, რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილების შესახებ განათლების სფეროში ევროპის საბჭოს მერ გახორციელებულ ქმედებათა ხელშეწყობა და ევროპის საბჭოს განათლების სტანდარტების დანერგვაში მონაწილეობა.

აღნიშნავს რა, რომ ევროპის საბჭოს განათლების საორგანიზაციო კომიტეტის (CDED) პროექტის წყალობით, რომლის სახელწოდებაა: ინტერკულტურული განათლების ახალი გამოწვევა: რელიგიური მრავალფეროვნება და დიალოგი ევროპაში (2002-2005 წლები), შესაძლებელი გახდა:

- მნიშვნელოვანი წინსვლა ინტერკულტურული განათლების რელიგიური განზომილებისადმი კონცეპტუალუ-

რი მიდგომის თვალსაზრისით, აგრეთვე, მისი შინაარსისა და მისი სწავლების მეთოდების თვალსაზრისით;

- ურთიერთგაგების, ტოლერანტობისა და „თანაცხოვრების“ კულტურის დამკვიდრების საქმეში, ინტერკულტურული განათლების რელიგიური განზომილების გათვალისწინების არსებითი მნიშვნელობის ხაზგასმა;
- სწავლების ისეთი ინოვაციური მიდგომებისა და სწავლის ისეთი ინოვაციური სტრატეგიების შესახებ წინადადებების წამოყენება, რომლებიც ინტერკულტურული დიალოგის კონტექსტში რელიგიურ მრავალფეროვნებას ითვალისწინებს;
- ცნობარის შექმნა, რომელშიც მოცემულია მთელი რიგი კონცეფციებისა და პედაგოგიური მიდგომებისა, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, გააცნობიერონ ინტერკულტურული განათლების რელიგიური განზომილება;

1. იძლევა რეკომენდაციას, რომ წევრ სახელმწიფოთა მთავრობებმა, შესაბამისი კონსტიტუციური სტრუქტურის, ქვეყნის შიგნით თუ ლოკალურად არსებული სიტუაციისა და განათლების სისტემის გათვალისწინებით:
   ა. განათლების სფეროში, მიმდინარე ან მომავალი რეფორმების გატარე-ბისას, გაითვალისწინონ წინამდებარე რეკომენდაციის დანართში მოცემული პრინციპები;
   ბ. ხელი შეუწყონ ინტერკულტურული განათლების სფეროში იმგვარ ინიციატივებს, რომლებიც რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნებას უკავშირდება, ტოლერანტობისა და „თანაცხოვრების“ კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით;
   გ. წინამდებარე რეკომენდაცია გააცნონ შესაბამის საჯარო და კერძო ორგანიზაციებს (მათ შორის, რელიგიურ საზოგადოებებსა და სხვა მრწამსების საფუძველზე არსებულ გაერთიანებებს), ქვეყანაში დამკვიდრებული პროცედურების დაცვით;
2. მოუწოდებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, წინამდებარე რეკომენდაცია გააცნოს ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე იმ ქვეყნებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის საბჭოს წევრებს.

გამოყენების სფერო და განმარტებები

1. წინამდებარე რეკომენდაციის მიზანია, უზრუნველყოს ის, რომ ინტერკულტურული განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილება მიჩნეულ იქნეს ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული მოქალაქეობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გარანტად ისევე, როგორც ინტერკულტურული დიალოგისათვის აუცილებელ კომპეტენციათა განვითარების გარანტად, რომლის გათვალისწინებაც საჭიროა შემდეგ ეტაპებზე:
   - განათლების პოლიტიკაში, მკაფიოდ ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პრინციპებისა და მიზნების სახით;
   - დაწესებულებებში, განსაკუთრებით, ღია სასწავლო გარემოსა და ინკლუზიის უზრუნველყოფის საშუალებით;
   - აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება, შესაბამისი გადამზადების საშუალებით.
2. წინამდებარე რეკომენდაციაში ტერმინები — „რელიგიები“ და „არარელიგიური რწმენები“ აღნიშნავს „კულტურულ ფენომენს“ სოციალური მრავალფეროვნების ფართო კონტექსტში.
3. რელიგიები და არარელიგიური რწმენები წარმოადგენს მრავალფეროვან და კომპლექსურ ფენომენს; ისინი არ არის მონოლითური. გარდა ამისა, ადამიანებს რელიგიური და არარელიგიური რწმენა გააჩნიათ სხვადასხვა დონეზე და ამ რწმენათა მიღება სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული. ზოგიერთისათვის რწმენა არსებითი მნიშვნელობის მატარებელია და შესაძლებელია, მისი მიღება საკუთარი არჩევანით იყოს განპირობებული, ზოგიერთისათვის კი რწმენა მეორეხარისხოვანია და შესაძლებელია მასთან ასოცირება ისტორიულ გარემოებებს უკავშირდებოდეს. აქედან გამომდინარე, ინტერკულტურული განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილება უნდა ასახავდეს ამ მრავალფეროვნებასა და კომპლექსურობას, როგორც ადგილობრივ, ასევე, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე.

ინტერკულტურული განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილების გათვალისწინების პრინციპები

4. ინტერკულტურული განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილების გათვალისწინების საფუძველს უნდა ქმნიდეს შემდეგი პრინციპები, რომლებიც აგრეთვე განსაზღვრავს

მოცემული განზომილების გათვალისწინების პერსპექტივას:

- აზრისა და სინდისის თავისუფლების პრინციპი თავის თავში გულისხმობს რელიგიისა და რწმენის ქონისა თუ არქონის თავისუფლებას, აგრეთვე, რელიგიური საქმიანობის განხორციელების, სარწმუნოებაზე უარის თქმისა და, სურვილის შემთხვევაში, აღმსარებლობის შეცვლის უფლებას;
- თანხმობა იმის თაობაზე, რომ რელიგიები და არარელიგიური რწმენები წარმოადგენს „კულტურულ ფენომენს", რომლებიც სხვა ელემენტებთან ერთად, როგორებიცაა ენა და ისტორიული და კულტურული ტრადიციები, გარკვეულ ფუნქციას ასრულებს სოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებაში;
- მოსწავლე-ახალგაზრდები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდის ქცევაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა მათ გამოუმუშავდეთ ტოლერანტული დამოკიდებულება და, აგრეთვე, ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა;
- რელიგიები და არარელიგიური რწმენები ყალიბდება ინდივიდუალური სწავლისა და გამოცდილების საფუძველზე და არ არის სრულად განპირობებული იმ ოჯახისა თუ საზოგადოების ტრადიციებითა თუ ცხოვრების სტილით, რომელსაც მიეკუთვნება კონკრეტული რელიგიისა თუ არარელიგიური რწმენის მქონე ინდივიდი;
- საჭიროა რელიგიური, მორალური და სამოქალაქო ღირებულებების შესახებ განათლებისადმი დისციპლინათშორისი მიდგომის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებებისადმი (მათ შორის, გენდერული თანასწორობისადმი), მშვიდობის, დემოკრატიული მოქალაქეობის, დიალოგისა და სოლიდარობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გამომუშავების მიზნით;
- ინტერკულტურული დიალოგი და რელიგიები და არარელიგიური რწმენები, რომლებიც ინტერკულტურული დიალოგის ფაქტორს წარმოადგენს, ტოლერანტობისა და „თანაცხოვრების" კულტურის ჩამოყალიბების და, აგრეთვე, ადამიანის უფლებების დაცვის საფუძველზე განსხვავებული იდენტობის აღიარების არსებით წინაპირობას წარმოადგენს;
- რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილების პრაქტიკული ჩართვა ინტერკულტურული განათლების სფეროში უნდა ითვალისწინებდეს ამ პროცესში მონაწილე მოსწავლე-ახალგაზრდების ასაკსა და მათი მოწიფულობის ხარისხს, ასევე, შესაბამისი წევრი სახელმწიფოების მიერ ამ მიმართულებით მიღებულ საუკეთესო გამოცდილებას.

განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილებისადმი ინტერკულტურული მიდგომის მიზნები

5. განათლება უნდა უზრუნველყოფდეს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას, რაც გულისხმობს:
   - კონკრეტული რელიგიისადმი კუთვნილებისა და კონკრეტული დამოკიდებულების ქონის უფლებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებისა და პატივისცემის ხელშეწყობას, თითოეული ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების საფუძველზე;
   - რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნებისადმი – როგორც ევროპის ერთ-ერთი ღირებულებისადმი – გულისხმიერი დამოკიდებულების გამომუშავებას;
   - იმის უზრუნველყოფას, რომ რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნების შესახებ სწავლება სრულად შეესაბამებოდეს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისა და ყველა ინდივიდის თანაბარი ღირსებისადმი პატივისცემის მიზნებს;
   - განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და არარელიგიური რწმენების მატარებელთა შორის კომუნიკაციისა და დიალოგის ხელშეწყობას;
   - საკუთარი იდენტობის გამოხატვისას, მოქალაქეობრივი აზროვნებისა და ზომიერების გამოჩენის ხელშეწყობას;
   - რელიგიურ და კულტურულ ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, ინტერკულტურული დიალოგის წარმოებისათვის შესაძლებლობების შექმნასა და ხელშეწყობას;

- ისეთი დელიკატური და სადავო საკითხების მოგვარებას, რომლებიც შესაძლოა წამოიჭრას რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნების ნიადაგზე;
- განსხვავებულ რელიგიებსა და არარელიგიურ რწმენებთან ასოცირებული პერსპექტივების აღქმასთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებით, კრიტიკული შეფასებისა და განსჯის უნარის გამომუშავებას;
- იმ განსხვავებებთან დაკავშირებული ცრუ შეხედულებებისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც აფერხებს ინტერკულტურულ დიალოგს და, აგრეთვე, თითოეული ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსებისადმი პატივისცემის სწავლებას;
- რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მრავალი განსხვავებული ტიპის ინფორმაციის მიუკერძოებელი ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარის ხელშეწყობას ისე, რომ არ შეიბღალოს მოსწავლეთა ღირსების დაცვის უფლება იმ რელიგიებთან ან არარელიგიურ რწმენებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ გააჩნიათ და ზიანი არ მიადგეს საჯარო განათლების გარეთ მიღებული რელიგიური განათლების რეპუტაციას.

განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნების საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

6. იმ გარემოებათა გაუვნებელყოფის მიზნით, რომლებიც ხელს უშლის განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნების საკითხის მოგვარებას, საჭიროა, ხელი შევუწყოთ შემდეგ დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებას:
   - საზოგადოებასა და სკოლებში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების ადგილთან დაკავშირებული საკითხები მსჯელობის საგანს უნდა წარმოადგენდეს;
   - ჯეროვნად უნდა იქნეს დაფასებული კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება ისევე, როგორც სოციალური ერთობა;
   - უნდა ვაღიაროთ, რომ სხვადასხვა რელიგიამ და ჰუმანისტურმა ტრადიციამ უდიდესი გავლენა იქონია ევროპაზე და ეს ტენდეცია კვლავაც გრძელდება;
   - ხელი უნდა შევუწყოთ ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობაში რელიგიებისა და სხვა სახის რწმენების როლისადმი დაბალანსებულ მიდგომას;
   - უნდა ვაღიაროთ, რომ რელიგიები და არარელიგიური რწმენები პიროვნების იდენტობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს;
   - უნდა ვაღიაროთ, რომ სკოლის ფარგლებში კონკრეტული რელიგიის მიმდევრობის აღიარება, ყოველგვარი გადაჭარბებისა და სხვების საკუთარ რწმენაზე მოქცევის მცდელობის გარეშე, იმგვარად, რომ დაცული იყოს სხვებისადმი პატივისცემა, არ დაირღვეს საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა ადამიანების უფლებები, სრულებით თავსებადია სეკულარულ საზოგადოებასთან და შესაბამის სახელმწიფოებრივ თუ რელიგიურ ავტონომიასთან;
   - საჭიროა რელიგიებთან და არარელიგიურ რწმენებთან ასოცირებული ცრუ შეხედულებებისა და სტერეოტიპების დაძლევა, განსაკუთრებით იმ ცრუ შეხედულებებისა და სტერეოტიპებისა, რომლებიც უმცირესობათა და ემიგრანტთა ცხოვრების წესსა და პრაქტიკას უკავშირდება, სოლიდარობაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანის მიზნით;

განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენებისადმი ინტერკულტურული მიდგომის სწავლების ასპექტები

7. განათლების კონტექსტში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნების გათვალისწინებისა და, აგრეთვე, ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა ქვემოთ მოცემული, განათლების წინაპირობებისა და სწავლის მეთოდების მართებულობის გაცნობიერება:

7.1. განათლების წინაპირობები

- ყველა პიროვნების თანაბარი ღირსებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება;
- ადამიანის უფლებების აღიარება ღირებულებად,

რომელიც რელიგიურ და კულტურულ მრავალფეროვნებაზე მაღლა დგას;

- ინდივიდუალურ პიროვნებებს შორის კომუნიკაცია და სხვის მდგომარეობაში შესვლის უნარი, ურთიერთნდობისა და ურთიერთგაგების გარემოს შექმნის მიზნით;
- თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა, რომელშიც ჩართულობისა და მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს განურჩევლად ყველა ტრადიციის მატარებელ პიროვნებას;
- უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა პიროვნებას, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები და ისაუბროს საკუთარ რწმენაზე, ყოველგვარი შიშის გარეშე, რომ მას განსჯიან, ან დაცინვის ობიექტად აქცევენ;

7.2 სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები

- სასწავლო სიტუაციების შესაქმნელად ე.წ. „სიმულაციების“ გამოყენება, რომლებიც მოიცავს დიალოგს, დილემურ სიტუაციებსა და მსჯელობას;
- მოსწავლე-ახალგაზრდების წახალისება, რათა მათ ობიექტურად შეაფასონ და იმსჯელონ როგორც საკუთარი, ასევე, სხვების ცხოვრების სტილსა და შეხედულებებზე;
- ე.წ. სიტუაციური თამაშები, სხვათა თვალსაზრისისა და ემოციების უკეთ გასაგებად;
- ე.წ. „ცოცხალი ბიბლიოთეკების“ გამოყენება;
- კონკურენციის ნაცვლად, თანამშრომლობა, პოზიტიური იმიჯის შექმნის მიზნით;
- სათანადო პედაგოგიური მიდგომების შემუშავება, როგორიცაა:
- ფენომენოლოგიური მიდგომა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების შესახებ ცოდნისა და აღქმა-გაგების არეალის გაფართოება და, ასევე, სხვა ადამიანების გაგება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ რელიგიას აღიარებენ ან რომელ არარელიგიურ რწმენას ფლობენ ისინი;
- ინტერპრეტაციული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მოქნილ აღქმა-გაგებას და რომელიც გამორიცხავს მათ მოქცევას წინასწარ და მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში;
- მიდგომა, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, პატივი სცენ სხვა ადამიანებს, რომლებსაც მათი ღირებულებებისა და მოსაზრებებისაგან განსხვავებული ღირებულებები და მოსაზრებები გააჩნიათ და წარმართონ მათთან დიალოგი;
- კონტექსტური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ადგილობრივ, ასევე, გლობალურ სასწავლო გარემოს.

სასწავლო პროცესში მონაწილე აკადემიური პერსონალის საუნივერსიტეტო მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პოლიტიკის შედეგები

8. რეკომენდებულია, წევრმა ქვეყნებმა, ზემოთ მოცემული პრინციპების, მიზნებისა და სასწავლო მიდგომების შესაბამისად, უზრუნველყონ შემდეგი:
   - ყურადღება გაამახვილონ მასზედ, რომ პროფესიული გადამზადება წარმოადგენს მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარების ძირითად საშუალებას, რომელთა ვალდებულებაშიც ისედაც შედის უფრო ტოლერანტი და ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
   - ორგანიზება გაუკეთონ მასწავლებელთა გადამზადებას და უზრუნველყონ ისინი საშუალებებით, რომლებიც მათ სათანადო საგანმანათლებლო რესურსების შეძენის შესაძლებლობას მისცემს, იმ აუცილებელი უნარების გამომუშავების მიზნით, რომლებიც საჭიროა ინტერკულტურული განათლების კონტექსტში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების გასათვალისწინებლად;
   - ორგანიზება გაუკეთონ მასწავლებელთა გადამზადებას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპებთან. ამგვარი გადამზადება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს;
   - გადამზადების პროგრამების მომზადება, სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდების გათვალისწინებით, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე დემოკრატიის შესახებ განათლების გარანტს წარმოადგენს;

- მასწავლებლების გადამზადების პროგრამებში მულტიპერსპექტიულობის შემოტანის ხელშეწყობა, რაც სწავლებისა და სწავლის პროცესში სხვადასხვა ხედვის გათვალისწინების მნიშვნელოვან და ძირითად ელემენტს წარმოადგენს;
- მასწავლებელთა გადამზადება, რომელიც ემსახურება იმგვარი მიდგომების გამომუშავებას, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს:
- შექმნან მდიდარი და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები;
- ერთმანეთს მიაწოდონ რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილებასთან დაკავშირებული რესურსები და ერთმანეთს გაუზიარონ ამ კუთხით მიღებული საკუთარი გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა;
- ხელი შეუწყონ წყაროების სანდოობისა და საიმედოობის კრიტიკულად შეფასებას;
- შექმნან სათანადო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ მოსწავლე-ახალგაზრდებს, დიალოგი გამართონ ერთმანეთთან და ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები;
- გაითვალისწინონ ინტერკულტურული დიალოგის ადგილობრივი და გლობალური ხასიათი;
- შეინარჩუნონ სიფხიზლე და მუდმივად იდგნენ სამართლებრივი წესებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სადარაჯოზე, რათა აღიკვეთოს სხვების საკუთარ რწმენაზე მოქცევის მცდელობები და რასისტული და ქსენოფობიური შინაარსის გზავნილების ტირაჟირება;
- გააცნობიერონ მოსწავლე-ახალგაზრდების მშობლებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან და რელიგიურ გაერთიანებებთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარების მნიშვნელობა (რომლებმაც შესაძლოა მონაწილეობა მიიღონ ღვთისმსახურების ადგილების მონახულებისა ან სხვა მსგავს ღონისძიებებში);
- გაითვალისწინონ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტუალობა და მათი გამოყენების სულ უფრო მზარდი ტენდენცია.
- გადამზადების პოლიტიკის შემუშავებისას, შედეგების, მიღწევებისა და სირთულეების, აგრეთვე, პრაქტიკის კვლევისა და შეფასებისათვის საჭირო და აუცილებელი რესურსების გათვალისწინება.

ამონარიდი განმარტებითი მემორანდუმიდან

ინტერკულტურული განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილების ჩართვის პრინციპები

წინადადებები რეკომენდაციის განხორციელებასთან დაკავშირებით

20. ნებისმიერმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ, აბსოლუტურად სეკულარული საზოგადოებითაც კი, ანგარიში უნდა გაუწიოს რელიგიურ მრავალფეროვნებას. სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს ურთიერთობები დომინანტური რელიგიის მატარებელ საზოგადოებასთან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა და ადგენდა სოციალური, მორალური ან თუნდაც პოლიტიკური ცხოვრების წესებს; სახელმწიფომ, ასევე, ანგარიში უნდა გაუწიოს უმცირესობათა ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ, შეინარჩუნონ თავიანთი ტრადიციები; სახელმწიფომ უნდა შეძლოს მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული ჯგუფისა თუ ინდივიდუალური პიროვნების სინდისისა და რელიგიის თავისუფლების საჯარო გამოხატვასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან მოთხოვნებთან გამკლავება. მოლოდინი, რომელიც არსებობს დემოკრატიული ქვეყნების მიმართ, ასევე, გულისხმობს ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებისაკენ სწრაფვის უზრუნველყოფას. განათლების ძირითად განზომილებას წარმოადგენს ბავშვის უფლება, აღიზარდოს როგორც მოქალაქე, რომელიც მზად იქნება, იცხოვროს დემოკრატიულ და პლურალისტულ საზოგადოებაში. მოქალაქეებს, მიუხედავად იმისა, თუ ერთმანეთისაგან რამდენად განსხვავებული მორალი და რელიგია გააჩნიათ, უწევთ ერთად ცხოვრება. განათლების მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეებში იმ უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარება, რომლებიც ე.წ. ინსტრუმენტებს წარმოადგენს სრულფასოვანი მოქალაქეობისათვის.

21. ვინაიდან მოცემულ კონტექსტში რელიგია განიხილება, სულ მცირე, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენი, რელიგიური მრავალფეროვნების გათვალისწინება ინტერკულტურული განათლების სფეროში არ ეწინააღმდეგება ბევრი თანამედროვე სეკულარული თუ ნახევრადსეკულარული საზოგადოების პრინციპებს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და განათლების სფეროში მოღვაწე პირებს შეუძლიათ, სხვადასხვა კულტურას შორის

ურთიერთგაგებისა და დიალოგის პერსპექტივა მოარგონ კონკრეტულ კონტექსტს, სფეროს, რომელშიც მათ გარკვეული ფუნქცია და პასუხისმგებლობები აკისრიათ, კონკრეტული კონსტიტუციით განსაზღვრული სტრუქტურების, ქვეყნისა თუ ადგილობრივი სიტუაციისა და განათლების არსებული სისტემების გათვალისწინებით.

ინტერკულტურული მიდგომის ამოცანები განათლებაში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილებასთან დაკავშირებით

22. წინამდებარე რეკომენდაციის დანართის მე-5 მუხლში აღწერილია ინტერკულტურული განათლების ამოცანები და ის კომპეტენციები, რომელთა განვითარებაც ამ მიმართულებით საჭიროა როგორც მასწავლებლებში, ასევე, მოსწავლეებში. ინტერკულტურული განათლება უნდა უზრუნველყოფდეს პლურალისტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა მსოფლმხედველობის შესახებ ინფორმირებულობას. ამგვარი განათლება საჭიროებს ინდივიდუალური ავტონომიისა და კრიტიკული აზროვნების, ტოლერანტობის, მრავალფეროვნებისადმი შეგუებულობისა და საზოგადოებისადმი კუთვნილების გამომუშავება-განვითარებას. აგრეთვე, იგი უნდა ემსახურებოდეს ნდობის გამომუშავებას, რომელიც აერთიანებს საზოგადოების წევრებს, მიუხედავად მათი მორალური თუ რელიგიური განსხვავებებისა და ამ ნიადაგზე წამოჭრილი უთანხმოებებისა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოქალაქემ სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში.

კომენტარები ძირითად კონცეფციებთან დაკავშირებით

23. ტოლერანტობა შესაძლებელია გაგებულ იქნეს სუსტი ან ძლიერი მნიშვნელობით. ტოლერანტობა „ძლიერი“ გაგებით სცდება ტოლერანტობის „სუსტი“ გაგების ჩარჩოებს და გულისხმობს აღიარებას, რომ სხვებიც იმავე თავისუფლებებით სარგებლობენ, რომლითაც ჩვენ თავად ვსარგებლობთ და რომელიც სახელმწიფოს, ხელისუფლების მიერ გვაქვს მონიჭებული. იგი გულისხმობს რწმენას, რომ ის, რისიც ჩვენ გვწამს, ჭეშმარიტებას წარმოადგენს და, მაშასადამე, კარგია ჩვენთვის, ხოლო ის, რისიც სხვებს სწამთ, მათი აღქმით, ასევე ჭეშმარიტებას წარმოადგენს მათთვის და, შესაბამისად, კარგის მომტანია მათთვის და ჩვენ არ უნდა განვსაჯოთ სხვები თავიანთი მოსაზრებების გამო იმის თაობაზე, თუ რასთან ასოცირდება მათთვის „კარგი ცხოვრება“.

24. სამოქალაქო აზროვნება არ წარმოადგენს სხვადასხვა ენაზე თუ სხვადასხვა საზოგადოებისათვის მარტივად ასახსნელ კონცეფციას; იგი რამდენიმე ასპექტს მოიცავს, მათ შორის, უნარს, მესამე პირის პოზიციიდან შეაფასო როგორც საკუთარი, ასევე, სხვების მოსაზრებები და ღირებულებები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია განათლების კუთხით, რომლის უმთავრეს დანიშნულებასაც წარმოადგენს როგორც საკუთარი, ასევე, სხვების ცოდნისა და აზროვნების ხელშეწყობა; იმის გააზრება, თურაოდენ მნიშვნელოვანია ეს ყველა ჩვენგანისათვის, არსებითია მოქალაქეობისათვის განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით. სამოქალაქო აზროვნების მეორე ასპექტს წარმოადგენს, საკუთარი იდენტობისა და კუთვნილების საჯაროდ გამოხატვისას, ზომიერების დაცვა, ურთიერთპატივისცემისა და მოსაზრებების ურთიერთგაზიარების ატმოსფეროს შექმნა – რაც კიდევ ერთ მნიშვნელოვან კონცეფციას წარმოადგენს როგორც საზოგადოებისათვის, ასევე, განათლებისათვის.

25. უნარი, ობიექტურად შეაფასო და გაიაზრო საკუთარი მორალური და რელიგიური რწმენები, არ გულისხმობს ტრადიციის მახასიათებელთა მკაცრ კრიტიკას, მათ უარყოფასა და გმობას. ეს უნარი გულისხმობს საკუთარი ღირებულებებისა და რწმენების ერთგვარად გარედან შეფასებას, რის მიზანსაც წარმოადგენს არა კულტურისაგან გამიჯვნა, არამედ შემეცნებითი უნარის განვითარება, ინტერკულტურული განათლების მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უნარი გულისხმობს მზაობას იმისათვის, რომ ურთიერთობა დაამყარო სხვებთან და, ამავდროულად, ჯეროვანი პატივი სცე მათ ღირსებას.

რჩევები რეკომენდაციის განხორციელებასთან დაკავშირებით

26. რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნების შესახებ სწავლებისა და სწავლის პერსპექტივიდან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება პედაგოგიური მოდელები, რომლებიც მიმართულია სტერეოტიპული აზროვნების წინააღმდეგ და განსხვავებული

რელიგიებისა და არარელიგიური ტრადიციების გამოხატვისა და გაგების საშუალებას იძლევა. ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლის სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა არ შეიცავდეს რელიგიებთან და არარელიგიურ რწმენებთან, ქალებთან და უმცირესობებთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს.

27. აღწერილი მიზნების ჩართვა შესაძლებელია სხვადასხვა სასკოლო საგანში (მაგალითად, სამოქალაქო განათლება, საზოგადოებრივი მეცნიერებები, რელიგიური განათლება), დისციპლინათაშორისი თემების საშუალებით (როგორებიცაა, ადგილობრივი გარემო, რელიგიური სიმბოლოები, კონფლიქტის მართვა) ან მათი ჩართვა კლასგარეშე პროექტებში.

28. კულტურული თვალსაზრისით ჰომოგენურ გარემოში შესაძლებელია სასარგებლო აღმოჩნდეს კულტურული თვალსაზრისით ჰეტეროგენურ სკოლებსა და, ამავე თვალსაზრისით, უფრო ჰომოგენურ სკოლებს შორის ე.წ. „გაცვლითი პროგრამების“ განხორციელება. შედეგი იქნება ერთგვარი „ადგილობრივი ინტერნაციონალიზაცია“, რომელიც სასარგებლოა როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე, მოსწავლეებისათვის, მათი ინტერკულტურული დიალოგისა და ურთიერთგაგებისათვის მომზადების კუთხით, ისეთ გარემოშიც კი, რომლისთვისაც ნაკლებად არის დამახასიათებელი მრავალფეროვნება.

განათლებაში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნების საკითხის მოგვარებისადმი წაყენებული მოთხოვნები

29. წინამდებარე რეკომენდაციის დანართის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულია მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც განათლების სისტემაში უზრუნველყოფს იმ დაბრკოლებების გადალახვას, რომლებიც წინ ეღობება რელიგიებისა და არარელიგიური რწმენებისადმი სათანადო დამოკიდებულებას.

კომენტარები ძირითად კონცეფციებთან დაკავშირებით

30. ხშირად რელიგიები და არარელიგიური რწმენები ინდივიდუალურ ცნობიერებას უკავშირდება და, ამავდროულად, ადამიანის ცხოვრების სოციალური ასპექტი სულ უფრო და უფრო პიროვნულ ხასიათს იძენს. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ რელიგიები და სხვა რწმენები მხოლოდ პიროვნულ სფეროს ეკუთვნის, ან უნდა განეკუთვნებოდეს, და საზოგადოებრივი ასპარეზიდან მოწყვეტილი უნდა იყოს. მორალური და რელიგიური რწმენები საფუძვლად უდევს სოციალური პოლიტიკის მრავალ მიმართულებას და განსაზღვრავს მის ბუნებასა და ხასიათს.

31. გარკვეული დამოკიდებულებები, რომლებიც ზოგჯერ ძალდაუტანებლად და ბუნებრივად ყალიბდება, საჭიროა დაიძლიოს, თუ ისინი დაბრკოლებას უქმნიან ინტერკულტურული განათლების სფეროში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილების გათვალისწინებასა და ჩართვას. სტერეოტიპები, მაგალითად, აფერხებს იმ მრავალფეროვნების აღქმას, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ერთ კონკრეტულ ჯგუფში გაერთიანებულ ადამიანებს, ხელს უშლის პიროვნების, კონკრეტული გარემოებებისა და იმ უამრავი მიზეზის აღქმას, რომლებიც ერთი ჯგუფის წევრების ან ერთ კატეგორიას მიკუთვნებული ადამიანების ესოდენ მრავალი თვალსაზრისით განსხვავებულობას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, სტერეოტიპებმა შესაძლოა ურთიერთგაგების დეფიციტამდე და დისკრიმინაციის გამოვლენამდეც კი მიგვიყვანოს და შეიძლება წინასწარი განწყობისა და ცრუ წარმოდგენების ყალბ არგუმენტებად მოგვევლინოს.

32. რელიგიებსა და სეკულარულ საზოგადოებას შორის ურთიერთობა ძალიან რთული და კომპლექსურია და საფუძველს უდებს ისეთი ცნებების სადავო საკითხებად ქცევას, როგორებიცაა სეკულარიზმი და პლურალიზმი, ერის ისტორია და იდენტობა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იქნეს გაცხადებული, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ხორციელდება კანონის უზენაესობა, პოლიტიკურმანეიტრალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მრავალფეროვნების ინტეგრაცია, კულტურული ტრადიციებისადმი პატივისცემა და ადამიანებს შორის დიალოგი, მათი ფუნდამენტური უფლებების ზედმიწევნითი დაცვით. ეს განცხადება მიზნად ისახავს საერო და სასულიერო მხარეს შორის მეტ-ნაკლები ბალანსის უზრუნველყოფას სხვადასხვა კონტექსტში, მაგრამ, ამავდროულად, რელიგიური თავისუფლებისა და გამოხატვის ფუნდამენტური უფლების დაცვით.

რჩევები რეკომენდაციის განხორციელებასთან დაკავშირებით

33. ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ამჟამად მუშაობს განათლების სისტემის დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებულ ფორმებზე. ხელისუფლება სულ უფრო

და უფრო მეტ პასუხისმგებლობას გადასცემს სკოლებს, რაც მეტად სახარბიელოა იმ სკოლებისათვის, რომლებსაც გარკვეული ინიციატივები გააჩნიათ. ამგვარი სკოლებისათვის გაცილებით უფრო მარტივია, განსაზღვრონ და პირნათლად შეასრულონ თავიანთი ფუნქცია რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების საქმეში და თავად შეეცადონ სენსიტიური საკითხების მოგვარებას. ასევე, ამგვარი სკოლები პროაქტიულია, თუმცა, ისინი საჭიროებენ მართვის გამართულ სისტემას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, შეაფასონ მათ მიერ განხორციელებული პროექტები.

ინტერკულტურული მიდგომის საგანმანათლებლო ასპექტები განათლებაში რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილებასთან დაკავშირებით

34. წინამდებარე რეკომენდაციის დანართის მე-7 მუხლში ჩამოყალიბებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ემსახურება ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც უკავშირდება რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლში მოცემულ ჩამონათვალში შესული ყველა მეთოდი ძალიან საჭირო და მიზანზე ორიენტირებულია, თუმცა ამ ჩამონათვალში შესაძლებელია შეტანილ იქნეს სხვა მეთოდებიც. საკლასო გარემოში, სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზებისას, შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სხვა ფაქტორებიც. ის, თუ რომელი მეთოდი შეიძლება შეირჩეს პრიორიტეტული მეთოდის სახით, დამოკიდებულია გარემოსა და კონტექსტზე. აუცილებელია აღნიშნული მეთოდების ადაპტირება განათლების სისტემების განსხვავებული საჭიროებების მიხედვით სხვადასხვა საზოგადოებაში.

კომენტარები ძირითად კონცეფციებთან დაკავშირებით: განათლების წინაპირობები

35. ვინაიდან თანაბარ პირობებში დიალოგის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიალოგის მონაწილე მხარეები თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ, სკოლა და საკლასო გარემო უნდა წარმოადგენდეს ადგილს, სადაც დიალოგში მონაწილეებს ყოველგვარი შიშისაგან და საფრთხის შეგრძნებისაგან თავისუფალი კომუნიკაციის საშუალება ექნებათ.

36. ძალიან მნიშვნელოვანია იმ სივრცისა და გარემოს გათვალისწინება, რომელშიც მოსწავლეებს თავიანთი მოსაზრებების გამოთქმა, თავიანთი დამოკიდებულებების გამოხატვა და დიალოგის წარმოება უწევთ. სათანადო გარემოს შექმნა დამოკიდებულია პედაგოგიურ ტექნიკაზე, რომელიც სიმულაციასა და დისტანცირებას გულისხმობს და, ასევე, განათლების კონცეფციაზე, რომელიც „რელიგიის შესახებ სწავლასა“ და „რელიგიის საშუალებით სწავლას“ გულისხმობს.

37. თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომა უკავშირდება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არავის შესწევს ძალა, სხვებისაგან დამოუკიდებლად გაართვას თავი ამოცანას და რომ საერთო მიზნის მისაღწევად საჭიროა სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა მოსწავლის საერთო ძალისხმევა; გარდა ამისა, საერთო მიზნის მიღწევა საჭიროებს პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებას, როგორც ფორმით, ასევე, შინაარსით. ამგვარი სწავლის პროცესი ყველაზე უფრო წარმატებულია და ყველაზე კარგი შედეგის მომტანია მცირერიცხოვან ჰეტეროგენულ ჯგუფებში მუშაობის პირობებში, სადაც მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები და მათი განსხვავებული იდენტობა მათ ინტეგრაციას უწყობს ხელს.

38. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ემპათია, რომელიც წარმოადგენს არა მენტალიტეტს, არამედ დინამიკურ მენტალურ და ემოციურ სტიმულს. ემპათია გვეხმარება, მივიღოთ ინფორმაცია სხვებზე, მეტი შევიტყოთ საკუთარ თავზე და დავხვეწოთ ჩვენი ურთიერთობები სხვებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თანაგრძნობას უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია ინტერკულტურული პრობლემების, განსაკუთრებით, რელიგიასთან და რწმენებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში.

კომენტარები ძირითად კონცეფციებთან დაკავშირებით: განსხვავებული სასწავლო მიდგომები

39. ფენომენოლოგიური მიდგომა ეფუძნება ცოდნის შეძენისა და გააზრების მიზნით სწავლებას, და არა მოსწავლეებისათვის კონკრეტული რელიგიური ხედვის მიწოდებას. იგი არ ითვალისწინებს რომელიმე ხედვის თავსმოხვევას. ეს მიდგომა უფრო „რელიგიური მეცნიერებების სწავლებას“ გულისხმობს, და არა „თეოლოგიის სწავლებას“. ფენომენოლოგიური მიდგომა მიუკერძოებელ და პროფესიულ ხასიათს ატარებს, არ არის რომელიმე აღმსარებლობაზე დაფუძნებული, თუმცა გააჩნია, როგორ გამოიყენება.

40. ინტერპრეტაციული მიდგომა ეფუძნება კითხვებს იმის თაობაზე, თუროგორ და ვის მიერ არის წარმოდგენილი რელიგიები და არარელიგიური რწმენები? როგორ ხდება წარმოდგენილი რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების ინტერპრეტირება და რა საშუალებებით? რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების გააზრება? მოცემული მიდგომა ესადაგება დღევანდელ ევროპაში რელიგიის ბუნებისა და როლის აღქმას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რელიგია წარმოადგენს არა სტატიკურ, არამედ დინამიკურ, არა უცვლელ, არამედ ცვალებად ფენომენს; რელიგიებს შორის ადგილი აქვს ურთიერთქმედებას, ხდება მათი ინტერპრეტირება და ერთი კონკრეტული რელიგიის მიერ დადგენილი წესჩვეულებებისა და რიტუალების სხვადასხვაგვარად დაცვა ამავე რელიგიის მიმდევართა მიერ. განათლების პროცესისათვის მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ხდება ამა თუ იმ რელიგიის ინტერპრეტირება და გაგება.

41. დიალოგური მიდგომა გულისხმობს ლინგვისტიკის სფეროს გამოყენებით დიალოგის ფუნქციების გამოყოფას, რომლებიც ესადაგება ინტერკულტურულ საკითხებზე, მათ შორის, რელიგიათაშორის საკითხებზე მსჯელობას. მოცემული მიდგომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იდენტობის განვითარება, როგორც რელიგიების შესახებ ცოდნის შეძენის საშუალებით, ასევე, რელიგიებს შორის განსხვავებების შესწავლის საშუალებით. ამგვარი იდენტობა გულისხმობს არსებული განსხვავებების აღიარებას და ყურადღების გამახვილებას სხვადასხვა რელიგიის საერთო მახასიათებლებზე.

42. და ბოლოს, კონტექსტური მიდგომა ინტერკულტურული და რელიგიათშორისი დიალოგის ნებისმიერ თემას აკავშირებს მოსწავლეებისა და მათი საზოგადოების ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან და რეალურად არსებულ კონტექსტთან.

რჩევები რეკომენდაციის განხორციელებასთან დაკავშირებით

43. სასწავლო პროცესის ორგანიზების ახალი გზების გამოვლენა შესაძლებელია მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობით, არა მარტო სკოლის ფარგლებში, არამედ მის ფარგლებს გარე სამყაროსთან. მოსწავლეები დროის უმეტეს ნაწილს სკოლის გარეთ, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ატარებენ. შესაბამისად, სკოლის ფარგლებში განხორციელებულ განათლებასთან დაკავშირებული აქტივობები უფრო ნაყოფიერი და მეტი შედეგის მომტანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება, ან, სულ მცირე, არ ეწინააღმდეგება სკოლის გარეთ მიმდინარე მოვლენებს.

მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადებისა და პროფესიული განვითარების შედეგები

44. გარემო, რომელშიც მასწავლებლებს უწევთ მუშაობა, მარადცვალებადია, შესაბამისად, სკოლები მუდმივად უნდა აკონტროლებდნენ სწავლის პროცესებთან დაკავშირებულ სიახლეებს და საგანმანათლებლო და პედაგოგიური საქმიანობების ეფექტურობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლების პროფესიული განვითარება წარმოადგენს მასწავლებელთა კომპეტენციის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. გარდა ამისა, მასწავლებლებს, როგორც განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, აკისრიათ უფრო ტოლერანტი საზოგადოების შექმნაზე ზრუნვის ვალდებულება.

45. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მუშაობის პროცესში მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევა, ასევე, უზრუნველყოფა იმისა, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი სასწავლო მასალები. პოლიტიკური გეზის შერჩევისას, საჭიროა, სათანადო ყურადღება დაეთმოს შედეგების, მიღწევებისა და პრაქტიკული სირთულეების კვლევისა და შეფასებისათვის საჭირო რესურსებს და მათ ხელმისაწვდომობას.

46. როგორც სკოლებში, ასევე მათ ფარგლებს მიღმა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გავრცელების ფონზე, საჭიროა, შემუშავდეს სწავლების მიდგომა და მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს. მსგავსი რესურსები ხშირად ძალიან საინტერესოა, თუმცა მათი გამოყენება ერთგვარ სიფრთხილესაც მოითხოვს.

ციფრული ტრანსფორმაცია – ვიდეოთამაშების პოტენციური სარგებელი

თარგმნა ნინო გაგელიძემ

როდესაც განათლების სპეციალისტები ან მასწავლებლები ვიდეოთამაშებზე ვსაუბრობთ, ძირითადად ვეხებით რისკებს. თუმცა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ვიდეოთამაშებზე საუბარი ნიშნავს უკიდურესად დივერსიფიცირებულ განზომილებაზე საუბარს, რომელიც კომპლექსურობის მაღალი ხარისხით ხასიათდება. ამავე დროს, ჩვენთვის, მოსწავლეთა განათლებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, ვიდეოთამაშები სერიოზული რისკების მატარებელ კონკურენტულ განზომილებას წარმოადგენს და ნაკლებად ვფიქრობთ მათი პედაგოგიკური პოტენციალის გამოყენებაზე.

James Paul Gee წერს, რომ „კარგი ვიდეოთამაშები" ისინია, რომლებშიც სწავლების კარგი პრინციპებია ინკორპორირებული[1]; და რომ თამაშის აქტი მჭიდროდაა დაკავშირებული სწავლის აქტთან – თამაშის ენისა და მექანიკის სწავლა იქნება ეს თუ გამოწვევებთან გამკლავების გზების სწავლა.

ამავე დროს, საინტერესო იქნებოდა ამბის თხრობის, ე.წ. სთორითელინგის სწავლა-სწავლების დროს ვიდეოთამაშების, ანუ იმის, რაც ჩვენს პარალელურად მაინც არსებობს ჩვენი ბავშვების ცხოვრებაში, პოტენციალის გამოყენება. ვიდეოთამაშები, ამბის მოყოლისა და თხრობის თვალსაზრისით, დიდ შესაძლებლობებს გვთავაზობს: ისეთი მკვლევრები, როგორიცარიან Bogost (2007), Jenkins (2003), Juul (2001) და Sicart (2011) ამ ფენომენს ფართოდ და სხვადასხვა პერსპექტივიდან იკვლევდნენ. ამ საინტერესო და კომპლექსური საკითხის დეტალებში ჩასვლის გარეშე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამბავი, თამაშის სიუჟეტი და ის, თუ როგორაა ეს ისტორიები მოთხრობილი, თამაშის ხარისხის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ზოგიერთი თამაშის სიუჟეტი იმდენად კარგადაა შემუშავებული, რომ შესაძლოა, ის მოთამაშეთა ფანტაზიების ნამდვილ შთაგონებად იქცეს და, აგრეთვე, გახსნას ახალი პერსპექტივა, თუ ზოგადად, როგორ შეიძლება ვწეროთ შემოქმედებითად.

Annapurna Pictures-ს მიერ 2017 წელს გამოშვებული *What remains of Edith Finch* იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ შეუძლიათ ვიდეოთამაშებს, გამოიყენონ თავიანთი „ენა" ამბების მოსათხრობად: დიდი ხნის შემდეგ, ედიტი ბავშვობის სახლს

> „კარგი ვიდეოთამაშები" ისინია, რომლებშიც სწავლების კარგი პრინციპებია ინკორპორირებული.

[1] https://academiccolab.org/resources/documents/Good_Learning.pdf.

» ამგვარი, თამაშის სიუჟეტი და ის, თუ როგორაა ეს ისტორიები მოთხრობილი, თამაშის ხარისხის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ზოგიერთი თამაშის სიუჟეტი იმდენად კარგადაა შემუშავებული, რომ შესაძლოა, ის მოთამაშეთა ფანტაზიების ნამდვილ შთაგონებად იქცეს და, აგრეთვე, გახსნას ახალი პერსპექტივა, თუ ზოგადად, როგორ შეიძლება ვწეროთ შემოქმედებითად.

სტუმრობს, რათა მისი ოჯახისა და ნათესავების შესახებ მოიძიოს ინფორმაცია. როდესაც მთავარი გმირი, ფინჩების ოჯახის ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი წევრი, სხვადასხვა ნათესავის ოთახში შედის, იგი თითოეული მათგანის მოგონებებში პროეცირდება და იგებს, თუ როგორ გარდაიცვალა ის ადამიანი და რას განიცდიდა. თითოეული ამბავი სხვადასხვა ტექნიკითა და სხვადასხვა ნარატიული ხერხითაა მოთხრობილი. შეუძლებელია, სთორითელინგის ხარისხმა შთაბეჭდილების ქვეშ არ მოგაქციოთ.

ვიზუალური ხელოვნებისა და სტილის, ხმის ეფექტებისა და საუნდტრეკების თვალსაზრისით, ესთეტიური განსხვავებები შესაძლოა თამაშის ხარისხის განსაზღვრის საკვანძო ფაქტორი იყოს. თამაშები, როგორიცაა *Journey, Chuchel, Bound* ან *Gris* გამოირჩევიან ესთეტიკური შთაგონების თვალსაზრისით და თითოეულს ამისთვის სხვადასხვა მიზეზი აქვს: გრაფიკისა და ანიმაციის კომბინაცია, საუნდტრეკსა და თამაშს-შიდა სიტუაციებს შორის ჰარმონია, ანდაც, უბრალოდ, *Red Dead Redemption 2*-ში, ცხენით სეირნობის დროს შემოთავაზებული პანორამის მშვენიერი სანახაობა.

იმდენად ბევრი გრაფიკული და მუსიკალური სტილია, რომ შეუძლებელია ყველა იმ თამაშის ჩამოთვლა, რომელიც განათლების სპეციალისტების ყურადღებას იმსახურებს: საქმე ისაა, რომ იმ კომპონენტების კატეგორიების ზუსტი იდენტიფიცირება, რაც შეიძლება ამაღელვებელი და შთამაგონებელი იყოს სხვადასხვა მოთამაშისთვის, რთულია.

თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის მიღება, რომ ვიდეოთამაშები შეიძლება არ იყოს მხოლოდ ანესთეტიკური; იყოს მისი საპირისპიროც და ესთეტიკურგამოცდილებასწარმოადგენდეს.

საბედნიეროდ, ყველა ვიდეოთამაშის მიზანს ადგილობრივი ბოროტმოქმედის მოკვლა ან პრინცესას გათავისუფლება არ წარმოადგენს. ზოგი თამაში ისეთ მგრძნობიარე და კომპლექსურ საკითხებს მიემართება, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, ლტოლვილების მდგომარეობა სამოქალაქო ომის პერიოდში, ან თუნდაც ფიზიკური და მენტალური დაავადებები. ამგვარი თამაშები მსგავს თემებს საკმაოდ ელეგანტურად, ხშირად, უმცირესობის პერსპექტივების წარმოჩენით ამუშავებენ და ზოგჯერ მოთამაშეებში საზოგადოების მიმართ ძლიერ კრიტიკასაც იწვევენ.

მაგალითად Papers, please! არის თამაში, სადაც შესაძლებელია, მესაზღვრის როლის თამაში წარმოსახვით, მილიტარიზირებულ ქვეყანაში. მოთამაშემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ ვინ შემოუშვას საზღვარზე და ვის უთხრას უარი. *Valiant Hearts* მოთამაშეებს შესაძლებლობას აძლევს, გამოსცადონ ჯარისკაცების, პატიმრების, ექთნების (ძაღლებისაც კი) ცხოვრება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. სხვა ღირსშესანიშნავ მაგალითებად შეიძლება, დავასახელოთ *Bury me, my love!* რომელიც სირიელი ლტოლვილების თემას მიემართება ან *This war of mine*.

თამაშები ერთმანეთისგან მრავალი ასპექტით განსხვავდება: თამაშის პრინციპით, ამბის თხრობის ტექნიკებით, მოთამაშეებს შორის ურთიერთქმედებებით, წამოჭრილი თემებით, ესთეტიკით. ხარისხის თვალსაზრისით განსხვავებების ამოცნობის უნარის გამომუშავება ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, კონკრეტულად რა იზიდავთ ჩვენს ბავშვებს/ახალგაზრდებს – *რატომ მოსწონთ მათი საყვარელი ვიდეოთამაშები.*

მიუხედავად შიშისა და უნდობლობისა, რომელსაც ვიდეოთამაშების კლასში გამოყენებაზე საუბრისას განვიცდით, მისი პედაგოგიური პოტენციალი საკმაოდ დიდია. სამეცნიერო საზოგადოება ვიდეოთამაშების საგანმანათლებლო სარგებელს

ყურადღებით სწავლობს. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები უამრავია, ისევე, როგორც სკოლებში ვიდეოთამაშების დიდაქტიკური და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენების წარმატებული ისტორიების მაგალითები.

ISFE-მ და European Schoolnet's project Games in Schools (http://games.eun.org), მაგალითად, სკოლებში ვიდეოთამაშების საკლასო ოთახში გამოყენებასთან დაკავშირებული მიდგომები გამოიკვლიეს და ევროპის მასშტაბით არსებული პრაქტიკული მაგალითების სერია შეკრეს (Watisau, Kearney და Van den Berghe 2009).

ახლო წარსულში, ერასმუს+-ის პროექტმა სახელწოდებით – App your school (www.appyourschool.eu/) ჩაატარა ექსპერიმენტი ვიდეოთამაშების გამოყენებაზე და თამაშები, როგორიცაა Minecraft და Unravel გამოიყენა, როგორც ძირითადი ინსტრუმენტები მოსწავლეებთან პრაქტიკული მუშაობისა და მშობლებისა და მასწავლებლების სასწავლო ინიციატივებისათვის.

„როდესაც თამაშობ, სწავლობ"

შესაძლოა, ეს უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ როდესაც თამაშობ – სწავლობ. სხვა სიტყვებით, თამაშის ქმედებას შეგვიძლია შევხედოთ, როგორც სწავლის პროცესს, რომელიც თითქმის არაცნობიერად რთავს პროცესში მოთამაშეს. James Paul Gee-ს კვლევა ვიდეოთამაშების შესახებ, ასკვნის, რომ ეს თამაშები მოთამაშეს აყენებს რიგი პრობლემების/დაბრკოლებების წინაშე, რომელთა გადაჭრაც საჭიროა წინსვლისთვის. ზოგიერთი თამაში, მაგალითად, როგორიცაა *Civilization VI*, *Starcraft 2* ან, თუნდაც, *Fortnite*, შეიძლება მართლაც ძალიან რთული იყოს ინსტრუქციების, მართვისა და დინამიკის თვალსაზრისით.

როდესაც ბავშვები თამაშობენ, მაღალი ინტენსივობით არიან ჩართული პრობლემის გადაჭრის პროცესში: ისინი სრულყოფილად სწავლობენ თამაშის შინაგან მექანიკას. მათ არ ეშინიათ შეცდომების დაშვების და არ წყვეტენ მცდელობებს მანამ, სანამ სირთულეების გადალახვას არ მოახერხებენ. ისინი ყველა საჭირო ბრძანებას უბრალო თამაშით სწავლობენ, ხელმძღვანელობენ ტუტორიალებით ან თითოეული საფეხურისთვის მომზადებული ტრენინგით, რაც თამაშის მექანიკის თანდათანობით გაცნობის მიზნითაა შექმნილი.

მეტიც, თამაშებს შეუძლია, მოთამაშეს უცხო ენები გააცნოს და ამ ენების აღმოჩენის საშუალება მისცეს (Chen და Yang 2013). გეიმერს, ასევე, 21-ე საუკუნისთვის ძალიან საჭირო უნარების გამომუშავება შეუძლია, რომელთა შორისაა, თანამშრომლობა, გონივრული რისკის გაწევა, პრობლემის გადაჭრა და სტრატეგიის შედგენა და განხორციელება (Prensky 2006).

ზოგიერთი თამაში არამხოლოდ ასტიმულირებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა ტრანსვერსიული აზროვნება ან მეხსიერება, არამედ ნევროლოგიურ დონეზე ზემოქმედებს, აუმჯობესებს რა ტვინის პლასტიკურობასა და ორიენტაციის უნარებს (Kühn et al. 2013), ხელისა და თვალის კოორდინაციას (Li, Chen და Chen 2016), და აგრეთვე, ისეთ ფსიქოლოგიურ პრობლემებსაც კი, როგორიცაა შფოთვა ან დეპრესია (Granic, Lobel და Engels 2014).

ვიდეოთამაშებისადმი მიდგომები განათლებაში

ვიდეოთამაშებს საინტერესო საგანმანათლებლო რეფლექსიებისთვის დიდი სივრცის შემოთავაზება შეუძლია. თუმცა, ვიდეოთამაშების განათლებაში გამოყენების კუთხით, მწვავე კრიტიკა და ბევრი დაბრკოლება არსებობს, როგორც პედაგოგიური რისკების, ასევე, ლოჯისტიკური შეზღუდვებისა და ხარჯების თვალსაზ-

იმდენად გვერდი გრაფიკული და მუსიკალური სტილია, რომ შეუძლებელია ყველა იმ თამაშის ჩამოთვლა, რომელიც განათლების სპეციალისტების ყურადღებას იმსახურებს: საქმე ისაა, რომ იმ კომპონენტების კატეგორიების ზუსტი იდენტიფიცირება, რაც შეიძლება აგაღელვებელი და შთამაგონებელი იყოს სხვადასხვა მოთამაშისთვის, რთულია.

ზოგი თამაში ისეთ მგრძნობიარე და კომპლექსურ საკითხებს მიემართება, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, ლტოლვილების მდგომარეობა სამოქალაქო ომის პერიოდში, ან თუნდაც ფიზიკური და მენტალური დაავადებები.

რისით. ისიც მართალია, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, განსაკუთრებით როდესაც საგანმანათლებლო სისტემაზე ვსაუბრობთ, ზრდასრულები თავს საკმარისად თავდაჯერებულად არ გრძნობენ ამ კუთხით, რომ ახალი პედაგოგიური მიდგომები მოსინჯონ. ეს ალბათ იმ ფაქტითაცაა განპირობებული, რომ, ხშირად, მათ ვიდეოთამაშების შესახებ მაშინ ესმით, როდესაც კლასში რაიმე უსიამოვნო სიტუაცია ჩნდება. ეს სრულებით გასაგებია. თუმცა, ქვემოთ ჩვენ ვიდეოთამაშების საგანმანათლებლო კონტექსტში გამოყენების რამდენიმე მიდგომას განვიხილავთ, რომელმაც შეიძლება ჩვენი დამოკიდებულება შეცვალოს.

ვიდეოთამაშებს დიდი საგანმანათლებლო პოტენციალი აქვს: ზოგი თამაში მოთამაშეებს უცხო ენის ან კოორდინაციის გაუმჯობესებაში ეხმარება, ზოგი – საგანმანათლებლო მასალებს შეიცავს, სხვები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ცალკეული საკითხების დამუშავებისთვის და ზოგიც - საკამათო საკითხებზე სამსჯელოდ.

გიკითხავთ ოდესმე თქვენი შვილებისთვის ან მოსწავლეებისთვის, რა ისწავლეს ვიდეოთამაშებისგან? შესაძლოა, გაოცდეთ!

თამაშების მეშვეობით, ცალკეული საკითხების წამოჭრის მიდგომამ შესაძლოა ახალგაზრდები იმ პრობლემებით დააინტერესოს, რის შესახებაც მანამდე ინფორმაცია არ ჰქონიათ. აგრეთვე, არსებობს სათამაშო პლატფორმები (როგორიცაა *HumbleBundle*), რომლებიც თავიანთ შემოსავალს არასამთავრობო ორგანიზაციებს გადასცემენ ან სასიკეთო მიზნებს ახმარენ.

არსებობს ისეთი თამაშებიც, რომლებიც სპეციალურად საგანმანათლებლო მიზნებისთვისაა შექმნილი. ამ ტიპის პროდუქტის გამოყენება ძალიან მარტივ და პირდაპირ მიდგომას წარმოადგენს, რომელიც, შესაძლოა, განსაკუთრებით ეფექტიანი იყოს საბაზისო უნარების სწავლებისათვის, რო-

გორიცაა ცნებების დამახსოვრება, მარტივი ოპერაციების სწავლა, ანდაც ცალკეული საკითხების სწავლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავსი თამაშების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება ნიშნავს იმ პროდუქტების აზრიანად გამოყენებას, რომლის მთავარ მიზანს გართობა არ წარმოადგენს (Sawyer 2007); სწორედ ეს შეიძლება იყოს ამ მიდგომის ერთ-ერთი უდიდესი შეზღუდვაც. იქიდან გამომდინარე, რომ მათი ძირითადი მიზანი გართობა არაა, ასეთი თამაშები შესაძლოა, საკმარისად სახალისო არ იყოს, შესაბამისად, ბავშვებმა მოსაწყენად მიიჩნიონ. ეს იმას ნიშნავს, რომ გართობა, ანუ ვიდეოთამაშების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოტივაციური ფაქტორი, გამოგვრჩეს.

საბედნიეროდ, სხვა მაგალითებიც გვაქვს და ყველა „სერიოზული“ თამაში ცუდი ან მოსაწყენი არაა:

- Tomorrow Corporation-ის *Human Resource Machine* – არის შესანიშნავი თამაში, სადაც მოთამაშემ თავსატეხები თავისი კოდინგის უნარების მეშვეობით უნდა ამოხსნას.
- Ex Nihilo-ის შექმნილი *Type: Rider*, არის პლატფორმერი, რომელიც მოთამაშეს ტიპოგრაფიის ისტორიას აცნობს.
- TuoMuseo-ის მიერ, ნეაპოლის ეროვნულ არქეოლოგიურ მუზეუმთან თანამშრომლობით შექმნილი სათავგადასავლო თამაში – *Father and Son* მიზნად ისახავს, წაახალისოს მოთამაშეები, ესტუმრონ მუზეუმს.
- *A Gender Story* ლამაზი, ინტერაქტიული თხრობაა, რომელიც Benjamin Mutombo-სა და Switch asbl-ის მიერ შექმნილი პროექტის – GET UP-ის ფარგლებშია შემუშავებული. ეს თამაში ცდილობს, ებრძოლოს გენდერულ სტერეოტიპებსა და დისკრიმინაციას ცნობიერების ამაღლების გზით იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სტერეოტიპებმა გოგონებისა და ქალების, ბიჭებისა და კაცების საგანმანათლებლო არჩევანსა და კარიერულ წინსვლაზე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს. მეტი ინფორმაციისთვის: www.getupproject.eu.
- *Bury me, my love!* ესაა დახვეწილი და ინტელექტუალური ინტერაქტიული თხრობა სირიელი ლტოლვილების რთული მოგზაურობის შესახებ, რომელიც მათი გზავნილების მეშვეობითაა მოყოლილი. მეტი ინფორმაციისთვის: http://burymemylove.arte.tv/.

მეტი ინფორმაციისთვის:

European Schoolnet-მა 2009 წელს გამოაქვეყნა საინტერესო და ყოვლისმომცველი ანგარიში *„როგორ გამოიყენება ციფრული თამაშები სკოლაში?“*: http://games.eun.org/upload/gis-full_report_en.pdf 2020 კი წელს – სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის – *„საგანმანათლებლო თამაშების გამოყენება საკლასო ოთახში“*: **www.isfe.eu/wp-content/uploads/2020/10/2020-GiShandbook-for-teachers-FINAL.pdf.**

ასეთი „სერიოზული“ თამაშები ძალიან მძლავრი და საინტერესო საშუალებაა, დავეხმაროთ ბავშვებს, საგანმანათლებლო კონტენტს ალტერნატიულად და უფრო გააზრებულად მიუდგნენ.

იცოდით, რომ...

ვიდეოთამაშები შესაძლოა ბავშვებისთვის ქვეყნების გაცნობისა და კულტურისა და ტურიზმის პოპულარიზაციის საშუალებად იქცეს. იტალიური ვიდეოთამაშების პროგრამა The Italian Videogame Program (IVIPRO) იტალიური არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის ამოცანა გეიმდეველოპერებსა და ადგილობრივ ინსტიტუტებს შორის დიალოგის წახალისებაა, რათა

მიუხედავად შიშისა და უნდოგლოგისა, როგელსაც ვიდეოთამაშების კლასში გამოყენებაზე საუბრისას განვიცდით, მისი პედაგოგიური პოტენციალი საკმაოდ დიდია. სამეცნიერო საზოგადოება ვიდეოთამაშების საგანმანათლებლო სარგებელს ყურადღებით სწავლობს. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები უამრავია, ისევე, როგორც სკოლებში ვიდეოთამაშების დიდაქტიკური და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენების წარმატებული ისტორიების მაგალითები.

» როდესაც გავშვებთ თამაშოგენ, მაღალი ინტენსივოგით არიან ჩართული პროგლემის გადაჭრის პროცესში: ისინი სრულყოფილად სწავლოგენ თამაშის შინაგან მექანიკას. მათ არ ეშინიათ შეცდოგების დაშვების და არ წყვეტენ მცდელოგებს მანამ, სანამ სირთულეების გადალახვას არ მოახერხებენ.

ხელი შეუწყოს იმ თამაშების შექმნის პროცესს, რომელთა მოქმედებაც იტალიაში ვითარდება. IVIPRO-ს ვებგვერდზე განთავსებულია რუკა, რომელზეც ნაჩვენებია რეალური ლოკაციები, რომლებზეც ყველაზე ცნობილი ვიდეოთამაშებია დაფუძნებული.

ერთ-ერთი მიდგომა ვიდეოთამაშების სერიოზული თემებისთვის, ან, თუნდაც, მიმდინარე საკითხების კრიტიკული გააზრებისთვის გამოყენებას შეეხება. მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების სტიმულირება, იფიქრონ კრიტიკულად – განსაჯონ, ამოიცნონ, გააანალიზონ, შეაფასონ და, საბოლოოდ, სათანადო, პასუხისმგებლიანი მოქმედება განახორციელონ. ეს პრაქტიკა ძალიან სასარგებლოა სტერეოტიპებთან და ცრურწმენებთან საბრძოლველად.

სწორად გამოყენების შემთხვევაში, ვიდეოთამაშებს შესანიშნავი შესაძლებლობების შემოთავაზება შეუძლიათ კლასში დისკუსიებისა და საგანმანათლებლო ინფორმაციის დამუშავებისთვის. მაგალითად, ვიდეოთამაშის ჩვენებით ან, უბრალოდ, მასზე საუბრით, შესაძლებელია, მივუდგეთ ისეთ თემებს, როგორიცაა ეთიკა, ემპათია, რასიზმი, სამართლებრივი საკითხები, გენდერული წარმომადგენლობა, ძალადობა, მიმდინარე მოვლენები თუ სხვა სადავო საკითხები.

- Quantic Dream, Sony Interactive Entertainment-ის Detroit: *Become Human*, 2018

ეს თამაში რასიზმის მგრძნობიარე საკითხს შეეხება, ჰყვება რა ისტორიებს ზოგიერთი ანდროიდისა, რომელიც, სისტემური შეცდომის გამო, თავისუფალ ნებას იძენს და საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას გადაწყვეტს. სურათში შეგიძლიათ იხილოთ აშკარად აპარტეიდის პოლიტიკით შთაგონებული სცენა, სადაც ანდროიდები იძულებულნი არიან, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მათთვის განკუთვნილი ზონები დაიკავონ.

- Rockstar Studio, Rockstar Games-ის *Red Dead Redemption 2*, 2018

ამ თამაშში მოქმედება კოვბოების პერიოდის უკანასკნელ წლებში ხდება და მოთამაშეს სთხოვს, გაჰყვეს ბანდიტების ჯგუფის ნაბიჯებს, რომელიც დასავლეთის ცივილიზაციას ებრძვის. თამაში რამდენიმე საინტერესო კითხვას სვამს და მოთამაშეებს აყენებს პოზიციაში, განსაჯონ, რა არის ეთიკური, რა არის სამართლიანი და როგორია, შეეჯახო გარდაუვალ ცვლილებებს.

ცხადია, მასწავლებლები კომფორტულად უნდა გრძნობდნენ თავს ამ საკითხებთან დაკავშრებით. სწორი ვიდეოთამაშის ცოდნა მთავარია, მაგრამ – არასაკმარისი. **სწორი ვიდეოთამაშების ჩვენების მარტივ აქტს თან უნდა ახლდეს მოსწავლეების გამოცდილება და მზაობა**. მნიშვნელოვანია, ვიდეოთამაშების გამოყენება დავინახოთ, როგორც სწავლებისა და სწავლის პროცესის შემავსებელი: ვიდეოთამაშები, ნახატები, ტექსტები, სიმღერები, კომიქსები და ხელოვნების სხვა ფორმები - ამ რესურსებს ხომ მარტივად შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ მნიშვნელოვანი რეფლექსიებისა და მსჯელობების სტიმულირებაში.

ვიდეოთამაშებს ისე შეუძლიათ, მიიპყრონ მოთამაშეების ინტერესი და მოტივაცია, მათი შემოქმედებითობის წახალისებისა და გამოთავისუფლების გზით, როგორც არცერთ სხვა ინსტრუმენტს.

Minecraft, Dragon Quest Builders, Portal Knights და *LEGO® Worlds*, აგრეთვე, *Roblox, Little Big Planet, The Movies* ან *Dreams* – ამის მხოლოდ მწირი მაგალითებია. ამ ვიდეოთამაშებმა თავიანთი კონტენტი მომხმარებლის მიერ წარმოებად კონტენტზე დააფუძნეს და მოთამაშეებს იწვევენ, მუდმივად შექმნან, შეცვალონ, გარდაქმნან და სხვებს გაუზიარონ თამაშსშიდა კონტენტი, როგორიცაა დონეები, რუკები, ავატარები, ნივთები და სხვა. ზოგ დასახელებულ

მაგალითში მუსიკის, ხმის ეფექტების, ნივთებისა და პერსონაჟების 3D მოდელების, მოკლემეტრაჟიანი კინემატოგრაფიული ვიდეოებისა და ახალი თამაშების შექმნაც კია შესაძლებელი.

ასევე, არსებობს უამრავი სოფტი, რომელიც ადამიანებს, განსაკუთრებით, ბავშვებს, საშუალებას აძლევს, შექმნან ნამდვილი ვიდეოთამაშები და განავითარონ კოდინგის უნარები. ზოგი ასეთი სოფტი ადვილად ხელმისაწვდომია, ზოგი – შედარებით რთულად. ზოგი – მოთამაშეებს საშუალებას აძლევს, შექმნან მხოლოდ კონკრეტული ტიპის თამაში, ზოგი – უფრო მოქნილია. ზოგი უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს „კოდინგზე", როდესაც სხვები უფრო გამარტივებულ რედაქტორებს უზრუნველყოფენ. ზოგი სოფტი უფასოა და ზოგიც – შესყიდვას საჭიროებს. ზოგადად, ეს ხელსაწყოები ძალიან ფუნქციურია და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, მარტივად შექმნან საკმაოდ რთული პროდუქტები.

იხილეთ რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელიც შეგიძლიათ თქვენს მოსწავლეებს ურჩიოთ:

- **RPG maker MV:** წარმოადგენს სოფტის ნაკრებს, რომელიც მომხმარებელს RPG სტილის თამაშების შექმნის საშუალებას აძლევს. RPG როლურ თამაშებს (Role Playing Games) აღნიშნავს და, როგორც წესი, ესაა პროდუქტები, სადაც მთავარი პერსონაჟები სამყაროებს იკვლევენ, მონსტრებს უპირისპირდებიან და ამბებს ავითარებენ. იგი გამოცემულია კონსოლებისა და პერსონალურ კომპიუტერებისთვის და მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს, თამაშები მობილურ მოწყობილობებზე დააექსპორტონ. მეტი ინფორმაციისთვის: **www.rpgmakerweb.com/**.
- **Quest:** ინსტრუმენტი, რომელიც მოაზრებულია ტექსტური თავგადასავლების შესაქმნელად. ის უფასოა და მისი გამოყენება ჩვეულებრივი ინტერნეტ-ბრაუზერითაა შესაძლებელი. მეტი ინფორმაციისთვის: **http://textadventures.co.uk/**.
- **Scratch:** მასაჩუსეტის ტექნოლოგიის ინსტიტუტის მიერ შექმნილი Scratch – სრულიად უფასოა და ხელმისაწვდომია Windows, Mac და Linux-დან. ბავშვებისთვის კოდინგის წარდგენისთვის Scratch ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ყველაზე ხშირად გამოყენებადი პლატფორმაა: **https://scratch.mit.edu/**.
- **თუ გსურთ**, მეტი იცოდეთ იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება ვიდეოთამაში, ნახეთ MIT მკვლევრების მიერ შექმნილი ვიდეო: **www.youtube.com/watch?v=Ex1ktx0xVgI**.
- **Stencyl:** ეს არის სრულყოფილი ინსტრუმენტი, შთაგონებული MIT-ის Scratch-ისგან, რომელიც ვიდეოთამაშის შექმნის პროცესს უამრავ გრაფიკულ მახასიათებელს ამატებს. თამაშების ექსპორტი მრავალ პლატფორმაზეა შესაძლებელი, თანხის გადახდის გარეშე, იმ პირობით, რომ თამაშებს მათ ონლაინპლატფორმაზე ატვირთავთ. მეტი ინფორმაციისთვის: **www.stencyl.com.**

კიდევ ერთი მოვლენა, რომლის აღნიშვნაც ღირს, არის ე.წ. თამაშის მარათონები. ეს ღონისძიებები თავს უყრის სხვადასხვა ჯგუფებს, სადაც შედიან გეიმდეველოპერები, ახალგაზრდები, დიზაინერები და სხვები – მოკლე დროში მცირე ვიდეოთამაშის შექმნის განზრახვით. როგორც წესი, მონაწილეები პატარა გუნდებად ჯგუფდებიან და ეძლევათ საკითხი ან პრობლემა, რაზეც უნდა იმუშაონ.

მეტი ინფორმაციისთვის:
https://itch.io/jams.
https://rm.coe.int/educating-for-a-video-game-culture-a-map-for-teachers-and-parents/1680a28f24

არის თუ არა ვიდეოთამაში ახალი სასწავლო ინსტრუმენტი?

თარგმნა
თეონა სილაგაძემ

REUTERS HEALTH-ის 2020 წლის კვლევის მიხედვით, მშობლების 86% ფიქრობს, რომ მათი მოზარდი ძალიან ბევრ დროს ხარჯავს თამაშში, მათგან ნახევარი კი თვლის, რომ მათი მოზარდი დღეში, მინიმუმ, 3 საათს ატარებს ვიდეოთამაშებში.

ჰკითხეთ თქვენი მოსწავლეების მშობლებს, რას გრძნობენ მათი შვილები ვიდეოთამაშების მიმართ და ისინი, სავარაუდოდ, იტყვიან, რომ ბავშვები ძალიან დიდ დროს და დიდი ხალისით ატარებენ თამაშში. Reuters Health-ის 2020 წლის კვლევის მიხედვით, მშობლების 86% ფიქრობს, რომ მათი მოზარდი ძალიან ბევრ დროს ხარჯავს თამაშში, მათგან ნახევარი კი თვლის, რომ მათი მოზარდი დღეში, მინიმუმ, 3 საათს ატარებს ვიდეოთამაშებში. გასაკვირი არ არის, რომ ბევრმა მშობელმა რეაგირებისთვის შემდეგი გზა მონახა – ვიდეოთამაშის დროის შეზღუდვა. მაგრამ ვინაიდან ეს ბავშვის საყვარელი საქმიანობაა, ალბათ სჯობს, აკრძალვისა და შეზღუდვის ნაცვლად, ვიდეოთამაშების საგანმანათლებლო რესურსზე ვფოკუსირდეთ.

დღესდღეობით, ვიდეოთამაშებმა გზა იპოვეს საკლასო ოთახებისგან და სწორედ მათი ნაწილის მეშვეობით სწავლობენ მოსწავლეები STEM საგნებს, ისტორიას, ენებს და სხვ. ეს ლოგიკურად აჩენს კითხვას: არის თუ არა ვიდეოთამაში საგანმანათლებლო ინსტრუმენტი? არაერთი შეხედულების თანახმად, პასუხი ამ კითხვაზე დადებითია, ვინაიდან:

1. ჩვენ ვსწავლობთ თამაშის საშუალებით და არც ვიდეოთამაშებია გამონაკლისი

დღევანდელი ვიდეოთამაშები თავისთავად ასწავლის მოსწავლეებს თამაშის საფარქვეშ „დამალული“ უნარების უზარმაზარ სპექტრს, საბავშვო ბაღიდან მე-12 კლასამდე. EdTech (ტერმინი მოიაზრებს საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური შინაარსის ქვეშ გაერთიანებულ სახალისო აპებსა და სასწავლო პლატფორმებს) ასწავლის ბავშვებს გუნდური მუშაობის შესახებ, აუმჯობესებს მათ ანალიტიკურ უნარებს და ამზადებს მათ გადაწყვეტილების მისაღებად ისევე, როგორც ეს დასჭირდებათ დღევანდელ დინამიკურ სამყაროში. ვიდეოთამაშები, ასევე, აუმჯობესებს მათ წერა-კითხვისა და მათემატიკის უნარებს, ხელისა და თვალის კოორდინაციას და სივრცით ინტელექტსაც კი – სამგანზომილებიანი ვიდეოსამყაროს წყალობით.

2. ვიდეოთამაშები გახდა რთული და კოგნიტიური შინაარსის სწავლების წარმატებული საშუალება

STEM საგნები ან ისტორია შეიძლება მშრალი და ნაკლებად საინტერესო იყოს

ბევრი ბავშვისთვის. მაგრამ ვინაიდან მათი მიწოდების ფორმა განსაზღვრავს მოსწავლეთა დაინტერესებას, აღმოჩნდა, რომ ფერადი გრაფიკა, საინტერესო სიუჟეტი და ცოტა შეჯიბრებაც კი, სადაც მოულოდნელად მათემატიკა, კითხვა, ისტორია ან ელემენტების პერიოდული სისტემა შემოდის, სწავლას ნამდვილად ხდის საინტერესოს. სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დღეს ბევრი მასწავლებელი მიმართავს ვიდეოთამაშებს ძნელად გასაგები, რთული ცნებების ასახსნელად.

3. ზოგჯერ მასწავლებლები იმისთვის იყენებენ ვიდეოთამაშებს, რომ შექმნან ერთგვარი ინდივიდუალური გარემო მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ

დღევანდელი საკლასო ოთახის მოცულობა შეიძლება დიდი გამოწვევა იყოს ზოგიერთი მოსწავლისთვის, განსაკუთრებით მისთვის, ვისაც დამატებითი დახმარება სჭირდება. ვიდეოთამაში შეიძლება წააგავდეს ერთგვარ ხელოვნური ინტელექტის მასწავლებელს, როცა ის „აქცევს“ მოსწავლეს ინდივიდუალურ ყურადღებას. კლასის დანარჩენ ნაწილს შეუძლია, გააგრძელოს თამაში / მუშაობა საკუთარი ტემპით და მასწავლებლებს კი შეუძლიათ გამოიყენონ ეს ტექნოლოგია მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისთვის.

4. ვიდეოთამაში ქმნის უსაფრთხო სივრცეს, სადაც შესაძლებელია სწავლა შეცდომისგან / წაგებიდან

ცდას ყოველთვის მოაქვს გარკვეული ცოდნა, მაგრამ ბავშვებს ხშირად ეშინიათ, სცადონ, ვინაიდან ეშინიათ დამარცხების. თამაშები კი წარმოადგენს უსაფრთხო გზას მოსწავლეებისთვის, რათა გაიგონ, როგორია წარუმატებლობა და რა შეიძლება ვისწავლოთ დამარცხების შედეგად. ვიდეოთამაშები ასევე საშუალებას იძლევა,

ვიდეოთამაშები, ასევე, აუმჯობესებს მათ წერა-კითხვისა და მათემატიკის უნარებს, ხელისა და თვალის კოორდინაციას და სივრცით ინტელექტსაც კი – სამგანზომილებიანი ვიდეოსამყაროს წყალობით.

» ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲒᲐᲪ ᲙᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ, ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲜ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ, ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲮᲓᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲡ.

ბავშვებმა მიიღონ ჯილდოები, რომლებიც მოაქვს ხელახლა მცდელობას მანამ, სანამ არ მიაღწევენ წარმატებას.

5. ᲕᲘᲓᲔᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ, ᲛᲝᲛᲔᲛᲖᲐᲓᲝᲜᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ვინაიდან ხელოვნური ინტელექტის, ვირტუალური რეალობის მიღწევები აგრძელებს პროდუქტებისა და სერვისების მომავლის ფორმირებას, სამყარო, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად უფრო ვირტუალურიც ხდება. პატარა ასაკიდან ბავშვების შეგუება ტექნოლოგიებთან და მათი უნარების განვითარება მიზნობრივი საგანმანათლებლო შინაარსით, უკეთ მოამზადებს მათ მომავალი კარიერული შესაძლებლობებისთვის. თამაშები, რომლებსაც აქვთ პრობლემის გადაჭრის მრავალი გზა, გვეხმარება ხვალინდელი შემოქმედებითი ინოვატორების ჩამოყალიბებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ვიდეოთამაშები ვერასოდეს ჩაანაცვლებს სწავლის სხვა ფორმებს, ისინი უფრო და უფრო მეტად ღირებულ საგანმანათლებლო ინსტრუმენტებად იქნება მიჩნეული, რამდენადაც უფრო და უფრო აქტიურად დგინდება მათი შესაბამისობა და სასწავლო გეგმაში ინტეგრირების პოტენციალი.

მშობლებს, რომელთაც სურთ ბავშვის განვითარებაში აქტიური მონაწილეობა, ნაცვლად აკრძალვისა, შეუძლიათ ამ გზით „შეავსონ“ საკლასო სწავლება და დაეხმარონ თავიანთი შვილის წარმატებას შესაბამისი, მიზნობრივი, ხარისხიანი ვიდეოთამაშების ხელმისაწვდომობით.

ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა და LVLUP! რეტროთამაშების ვირტუალური ტური

თარგმნა
თეონა სილაგაძემ

LVLup-ის ვირტუალური ტური, ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის (Rahvusramautokogu) ინიციატივა, მოიცავდა ვიდეოთამაშების მუზეუმის ახალ გამოფენას „სანაცვლოდ, გააკეთე რამე სასარგებლო!" რომელიც გაიმართა ორი წლის წინ.

„ტური აბრუნებს ზრდასრულებს ახალგაზრდობაში და აცნობს ახალგაზრდებს რეტროკონსოლის თამაშებს. ზოგიერთი ამ კონსოლის თამაში თარიღდება 1970-იანი წლებით", – წერდა LVLup! სოციალურ ქსელში.

ვირტუალური ტური გულისხმობდა ახალი გამოფენის გახსნის ღონისძიებას, რომელიც ესტონეთში თამაშებისა და ვიდეოთამაშების მემკვიდრეობის გადახედვას ეხებოდა. LVLup! ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი ვიდეოთამაშების შემქმნელები და დისკუსიის ფორმატში უზიარებდნენ აუდიტორიას თავიანთ მოსაზრებებს.

რეტროკონსოლის უამრავი თამაში და სხვა უნიკალური ელექტრონიკა (1970-დან 2000-იან წლებამდე) იქნა ნაჩვენები ტურზე კურატორებთან ერთად, გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღებას დაეთმო მოწყობილობებსა და თამაშებს, რომლებმაც შეცვალეს ესტონელთა ხედვა თამაშების შესახებ.

გეიმინგი უკვე არსებობდა საბჭოთა კავშირში, მაგრამ ესტონეთში, როგორც ცხოვრების პირობებისა და კულტურის ფენომენმა, 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან და 1990-იანი წლების დასაწყისიდან მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი. ეს არის ასევე მიზეზი იმისა, რომ ესტონეთის ვიდეოთამაშების ისტორია გარკვეულწილად განსხვავდება დასავლური ქვეყნებისგან, წერს LVLup!

> ესტონეთში, როგორც ცხოვრების პირობებისა და კულტურის ფენომენმა, 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან და 1990-იანი წლების დასაწყისიდან მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი.

გამოფენის კურატორების თქმით, ვიდეოთამაშები თავდაპირველად კულტურისა და ხელოვნების ნაწილი კი არა, არამედ უფრო ბავშვების გასართობი იყო.

„სანაცვლოდ, გააკეთე რამე სასარგებლო!" განუცხადეს მრავალი თაობის მოთამაშეებს მთელ მსოფლიოში გამოფენის ორგანიზატორებმა. ამ დროისთვის, სათამაშო ინდუსტრია გადაიზარდა მუსიკისა და კინოს კონკურენტად და თამაშები თანამედროვე კულტურის, სპორტისა და თუნ-

» ამ დროისთვის, სათამაშო ინდუსტრია გადაიზარდა მუსიკისა და კინოს კონკურენტად და თამაშები თანამედროვე კულტურის, სპორტისა და თუნდაც მუშაობის განუყოფელი ნაწილი გახდა, რომ აღარაფერი ვთქვათ გართობაზე.

დაც მუშაობის განუყოფელი ნაწილი გახდა, რომ აღარაფერი ვთქვათ გართობაზე.

ვინაიდან ესტონეთში გეიმერების საშუალო ასაკი უახლოვდება 40 წელს, გამოფენამ ასევე დააბრუნა ზრდასრულები ბავშვობაში და ხოლო დღევანდელ ბავშვებს გააცნო 70-იანი წლების რეტროკონსოლის თამაშები.

"Mario Bros., Street Fighter II, Brick Game, Pac-Man, Road Race, Circus, Sonic the Hedgehog, Tale spin, Flipper ან ხელის კონსოლის თამაში ვერცხლის ჩარჩოთი, ინდიელების მონაწილეობით – თუ ეს სახელები გეცნობათ და კარგ მოგონებებს აღძრავს, მაშინ კატეგორიულად გირჩევთ, მონაწილეობა მიიღოთ ტურში და დააწკაპუნოთ „შესვლაზეო", – აცხადებენ მუზეუმში და იწვევდნენ დაინტერესებულ პირებს მონაწილეობისთვის.

საყურადღებოა, რომ გამოფენის ვირტუალური ტური და ეს ღონისძიება დაემთხვა პანდემიის პერიოდს, თუმცა ესტონეთის ეროვნული მუზეუმი დღემდე აგრძელებს ვიდეოთამაშების საგანმანათლებლო და კულტურული მნიშვნელობის კვლევასა და საზოგადოების ინფორმირებას.

ეს არ გულისხმობს ვიდეოთამაშების პოპულარიზაციისთვის გადადგმულ ნაბიჯებს, ეს მოიაზრებს, უშუალოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიდეოთამაშების ფენომენის საგანმანათლებლო და კულტურულ შინაარსზე ფოკუსირებას.

ვირტუალური ტური ხელმისაწვდომია ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის **YouTube არხზე**.

ციფრული სერვისების ინტეგრაცია სასკოლო განათლებაში

დენის წურწუმია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

სასკოლო განათლების სისტემის განვითარება თანამედროვე საზოგადოებაში დიდწილად დამოკიდებული ხდება ციფრული სერვისების დანერგვა-განვითარებაზე. თუ ციფრულ ტექნოლოგიებამდე მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა აუცილებლად გულისხმობდა, ერთი მხრივ, ფიზიკურად ერთ სივრცეში ყოფნას, ხოლო, მეორე მხრივ, შეზღუდულ მატერიალურ სასწავლო საშუალებებს, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სასწავლო პროცესში ეტაპობრივად ხდებოდა ციფრული სერვისების ჩართვა, თუმცა ბოლო წლების კომპლექსურმა გამოწვევებმა მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე განსაკუთრებული საჭიროებების წინაშე დააყენა.

კოვიდის დაფიქსირებიდან რამდენიმე თვეში ქვეყნები იძულებული გახდნენ, არამხოლოდ ადმინისტრაციული თუ საგანმანათლებლო დაწესებულებების მათ განთავსების ადგილზე ფუნქციონირება შეეზღუდათ, არამედ საჯარო სივრცეში გადაადგილებაც სპეციალურ პირობებს დაექვემდებარა (დღე-ღამის პერიოდი, საქმიანობის ხასიათი, გადაუდებელი საჭიროება და ა.შ.). საქართველოს შემთხვევაში, ცალკეული დასახლებული პუნქტებიც კი ჩაიკეტა და მოქალაქის შესვლა/გასვლა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სპეციალურ ნებართვას მოითხოვდა. აღნიშნული გარემოებების გამო, იუნესკოს ანგარიშის თანახმად, 2020 წლის პირველ ნახევარში მსოფლიოს 190-ზე მეტმა ქვეყანამ შეწყვიტა სწავლა სკოლებში, რამაც შეაფერხა, დაახლოებით, 1,6 მილიარდი მოსწავლის სწავლების პროცესი, რაც მოსწავლეთა რაოდენობის 90%-ს აღემატება.

ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის ბრძანებით, სკოლები განისაზღვრა, როგორც საშუალო რისკის მატარებელი დაწესებულებები და დაუწესდა ისეთი შეზღუდვები, რაც პირდაპირ გავლენას ახდენდა ტრადიციულ

იუნესკოს ანგარიშის თანახმად, 2020 წლის პირველ ნახევარში მსოფლიოს 190-ზე მეტმა ქვეყანამ შეწყვიტა სწავლა სკოლებში, რამაც შეაფერხა, დაახლოებით, 1,6 მილიარდი მოსწავლის სწავლების პროცესი, რაც მოსწავლეთა რაოდენობის 90%-ს აღემატება.



ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახულ ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს მიეცა საშუალება, ესარგებლა შეღავათიანი ინტერნეტპაკეტით.

საგანმანათლებლო პროცესსზე, განსაკუთრებით, ისეთ აქტივობებზე, რომლებიც ფიზიკურ კონტაქტს ან მცირე დისტანციას მოითხოვდა. პანდემიის გავრცელების ტემპის პარალელურად, ამ შეზღუდვების პირობებებშიც კი, აიკრძალა სასწავლო დაწესებულებაში ფიზიკურად სწავლება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2020 წლის 09 სექტემბრის ბრძანებით, განისაზღვრა სკოლებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები. ბრძანებით, სწავლების ფორმად განისაზღვრა ელექტრონული სწავლება, რაც გულისხმობდა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენების აუცილებლობას. ამასთან, დისტანციური სწავლება შესაძლებელი იყო, განხორციელებულიყო როგორც სინქორნული (მოსწავლე და მასწავლებელი უნიკალური მომხმარებლის სახელისა დაარროლის გამოყენებით, ერთდროულად იყენებს აუდიო ან/და ვიდეოკომუნიკაციის საშუალების მქონე ელექტრონულ პლატფორმას), ისე ასინქრონული (მოსწავლეები მასწავლებლის მიერ დაგეგმილი პროცესის შესაბამისად, დამოუკიდებლად სწავლობენ სხვადასხვა დროსა და ადგილას, რეალურ დროში კომუნიკაციის გარეშე) მოდელით.

ამგვარად, სკოლები აღმოჩნდნენ ციფრული სერვისების გარდაუვალი საჭიროების წინაშე, ხოლო ამ საჭიროების მომსახურების მიმართულებით, განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, რომლის მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნა ასიათასობით მოსწავლის ელექტრონული პლატფორმით სწავლების შესაძლებლობა

(საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის მარტიდან მოსწავლეების 96.8%-ს გაკვეთილები უტარდებოდა ონლაინ).

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ციფრული სერვისებით სარგებლობა ხორციელდებოდა სკოლის შენობის გარეთ (საცხოვრებელი ადგილი), განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა არამხოლოდ მოსწავლეებისა და მასწავლებელების მხრიდან უწყვეტ ინტერნეტკავშირზე წვდომის შესაძლებლობას, ისე მის ღირებულებას, რადგან ონლაინ-გაკვეთილები მოითხოვდა დიდი მოცულობით მონაცემების მიღება/გაგზავნას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მექანიზმი იყო ის, რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახულ ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს მიეცა საშუალება, ესარგებლა შეღავათიანი ინტერნეტპაკეტით.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, აღნიშნული სერვისით ისარგებლა, საერთო ჯამში. 16063-მა მასწავლებელმა და 21863 მოსწავლემ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ჩართულობით, Microsoft Office 365 teams-ში შეიქმნა ყველა საჯარო სკოლის კლასებისა და საგნებისთვის ვირტუალური საკლასო ოთახები, ასევე, სკოლებისთვის შეიქმნა მომხმარებლის პროფილი (500 000-ზე მეტი მოსწავლე და 50 ათასზე მეტი მასწავლებელი) და განხორციელდა Microsoft teams-ის ადაპტირება ქართულ ენაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პანდემიის ნეგატიური შედეგების შემცირებას და მოსწავლეები არ იქნენ მოწყვეტილი სასწავლო პროცესს. ამასთანავე, დისტანციური სწავლების სერვისი წარმოადგენს ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს, თუ რა გავლენა აქვს ციფრულ სერ-

ონლაინგაკვეთილებთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გარდა, ამ დროისთვის დანერგილია სხვა ისეთი ციფრული სერვისები, რაც პირდაპირ არ უკავშირდება საგაკვეთილო პროცესს, მაგრამ ამარტივებს და უფრო გამჭვირვალეს ხდის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა ადმინისტრაციულ საქმიანობას.

» **განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, რომლის მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნა ასიათასობით მოსწავლის ელექტრონული პლატფორმით სწავლების შესაძლებლობა (საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის მარტიდან მოსწავლეების 99.8%-ს გაკვეთილები უტარდებოდა ონლაინ).**

ვისებს თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესზე.

ონლაინგაკვეთილებთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გარდა, ამ დროისთვის დანერგილია სხვა ისეთი ციფრული სერვისები, რაც პირდაპირ არ უკავშირდება საგაკვეთილო პროცესს, მაგრამ ამარტივებს და უფრო გამჭვირვალეს ხდის სასწავლო პროცესის ხელმშემწყობ ადმინისტრაციულ საქმიანობას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, რომლის შექმნასა და ადმინისტრირებას, ასევე, ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას, დამუშავებასა და ანალიზს უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. აღნიშნულმა ციფრულმა სერვისმა გაამარტივა და მოიცვა საგანმანათლებლო საქმიანობასთან კავშირში მყოფი ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორებიცაა: მოსწავლის ჩარიცხვა/გარიცხვა/ამორიცხვა, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენა, მოსწავლის მობილობა, საგაკვეთილო ცხრილის შექმნა და სხვა.

გარდა აღნიშნულისა, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვან რესურსად აღიქმება თამაშები (ე.წ. კომპიუტერული თამაშები), რადგან ისინი უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესში მოსწავლეების მეტ ჩართულობას, გუნდურად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, პერსონალიზებულ სასწავლო გამოცდილებასა და, მიღწეული შედეგების მიხედვით, ე.წ. „ბენეფიტების“ სისტემით სარგებლობას. ამ ყოველივეს საუკეთესო მაგალითად (საქართველოს შემთხვევაში) შესაძლოა განვიხილოთ “Minecraft Education Edition” (თამაშზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელსაც სკოლის პედაგოგები სხვადასხვა საგნის სწავლების დროს იყენებენ). აღნიშნული თამაში ხელს უწყობს მოსწავლეებში სივრცითი, ლოგიკური და შემოქმედებითი უნარების გავითარებას, ასევე, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ჩაატარონ ექსპერიმენტები და იმუშაონ პრობლემების მოგვარებაზე.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პირთა ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

ნატა ვაჭარაძე
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აუდიტორი, განათლების გართვის კონსულტანტი

საქართველოში განათლების კუთხით არაერთი სამართლებრივი რეგულაცია არსებობს, რომელთა დაცვაც ხელს შეუწყობს პოზიტიური სასკოლო კულტურის შექმნას.

სკოლაში ბავშვის აღზრდა და სწავლა თორმეტწლიანი უწყვეტი პროცესია. სასკოლო კულტურა გულისხმობს იმ ყოველდღიურობას, სადაც სკოლის საზოგადოებას (იგულისხმება როგორც მოსწავლე და მასწავლებელი, ისე მშობლები და მენეჯმენტი) ექნება აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, უსაფრთხო, მეგობრული, დემოკრატიული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული გარემო, ვინაიდან ყოველივე ეს მნიშვნელოვანია, რათა მიღწეულ იქნეს ზოგადი განათლების მიზანი.

პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება გულისხმობს იმ გარემოს შექმნას, სადაც ყველა პიროვნება თავს გრძნობს სრულფასოვან წევრად, სადაც შესაძლებლობა აქვს, მიიღოს ან/და გასცეს სრულყოფილი და საჭირო განათლება. აღნიშნულის ჩამოყალიბება ხდება სხვადასხვა გარემოების ერთობლიობით, რომელიც შედგება ტრადიციებისგან, რუტინებისგან, ურთიერთობებისგან და ქმედებებისგან. ყოველივე ზემოაღნიშნული არის ის ფაქტორები, რომელთა მიმართ ყურადღება და მათ შენარჩუნებაზე ზრუნვა ყოველთვის აუცილებელია.

საქართველოში განათლების კუთხით არაერთი სამართლებრივი რეგულაცია არსებობს, რომელთა დაცვაც ხელს შეუწყობს პოზიტიური სასკოლო კულტურის შექმნას. მაგალითად, მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული ეთიკის კოდექსში დეტალურად არის გაწერილი ურთიერთობა მოსწავლეებთან, მშობლებთან, დირექციასთან და, ასევე, კოდექსი პასუხისმგებლობას აკისრებს პირს ნორმების დარღვევის შემთხვევების დროს. მნიშვნელოვანია, ასევე, მანდატურის ინსტიტუტის შემოღება, რომელმაც მოაწესრიგა სკოლებში არსებული კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც პერიოდულად იჩენდა თავს; შეიქმნა უსაფრთხო გარემო და, თავის მხრივ, პრევენცია მოახდინა შესაძლო არასასურველი შემთხვევებისა.

მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მასწავლებელს აკისრებს მოსწავ-

» მხოლოდ სკოლის ერთი რგოლი ვერ შეძლებს კონფლიქტური სიტუაციის შესწავლასა და სათანადო რეაგირებას დამოუკიდებლად, აუცილებელია, ყველამ იგრძნოს თავისი წილი პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების დროული ინფორმირება და კოორდინაცია მისაღები შედეგის მიღწევის მიზნით.

ლესთან ისეთი სახის დამოკიდებულების/ურთიერთობის დამყარებას, სადაც მასწავლებლებმა პატივი უნდა სცენ მოსწავლის აზრს, არ შეუზღუდონ სიტყვის თავისუფლება, იზრუნონ მოსწავლის ჯანმრთელობაზე, საკუთრებისა და პირადი უფლებების დაცვაზე. ასევე, მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსით მოწესრიგებულია მასწავლებლისა და მშობლების ურთიერთობა. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ მშობელი საქმის კურსში იყოს თავისი შვილის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით სახლს გარეთ. ეთიკის კოდექსით რეგულირდება, ასევე, მასწავლებლის ურთიერთობა დირექციასა და სხვა თანამშრომლებთან. სკოლაში თანამშრომლობასა და პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი:

- დირექციის დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ, როცა სკოლის თანამშრომლებს აქვთ შესაბამისი გარემო (ინფრასტრუქტურა) და დამოკიდებულება ხელმძღვანელობის მხრიდან თავიანთ საქმის ხელშესაწყობად;
- სკოლის (დირექცია, მასწავლებლები) ურთიერთობა მშობლებთან, როცა მშობელს აქვს განცდა, რომ მისი შვილი უსაფრთხო გარემოში და კვალიფიციური მასწავლებლების გარემოცვაში იზრდება და ყალიბდება;
- და ბოლოს – მასწავლებლების დამოკიდებულება მოსწავლეებთან.

სასკოლო საზოგადოების პროფესიონალიზმი, ქცევა, მიდგომა და დამოკიდებულება სამაგალითო უნდა იყოს მოსწავლეებისათვის, ხოლო მათი თანამშრომლობა სწორი და სამართლიანი. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა სკოლაში იქმნება არასასურველი გარემო, როდესაც მასწავლებლები მოსწავლეების მიმართ ავლენენ არასათანადო დამოკიდებულებას სიტყვიერად ან/და ფიზიკურად; როდესაც მოსწავლის მიერ დაფიქსირებული აზრი დაცინვის ობიექტი ხდება, ასევე, როცა



სასკოლო კულტურა გულისხმობს იმ ყოველდღიურობას, სადაც სკოლის საზოგადოებას (იგულისხმება როგორც მოსწავლე და მასწავლებელი, ისე მშობლები და მენეჯმენტი) ექნება აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, უსაფრთხო, მეგობრული, დემოკრატიული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული გარემო, ვინაიდან ყოველივე ეს მნიშვნელოვანია, რათა მიღწეულ იქნეს ზოგადი განათლების მიზანი.

მასწავლებლები თავიანთ შეხედულებებს აფიქსირებენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და სათანადო კვალიფიკაციას (მაგალითად, შშმ პირები, სამედიცინო საკითხები და სხვა). მსგავსი შემთხვევების დროს ირღვევა „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი“, რომლის მოთხოვნითაც მასწავლებელი არ უნდა აყენებდეს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენდეს მასზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას.

სკოლაში ასევე ძალიან ხშირია მოსწავლეთა შორის ბულინგის შემთხვევები. აღნიშნული პრობლემების არსებობის დროს, უმეტესწილად, ისე ხდება, რომ მშობლები ბულინგის პრობლემების შესახებ პირდაპირ დირექციას მიმართავენ და მის შესახებ არ არის ინფორმირებული მანდატურის სამსახური, ან არ ხდება მშობლებისა და დირექციის ინფორმირება მოსწავლეთა შორის ჩაგვრისა და არასათანადო დამოკიდებულების შემთხვევებისას. ასეთ დროს თავს იჩენს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის პრობლემა სასკოლო საზოგადოებას შორის. მხოლოდ სკოლის ერთი რგოლი ვერ შეძლებს კონფლიქტური სიტუაციის შესწავლასა და სათანადო რეაგირებას დამოუკიდებლად, აუცილებელია, ყველამ იგრძნოს თავისი წილი პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების დროული ინფორმირება და კოორდინაცია მისაღები შედეგის მიღწევის მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ ყველა იმრეგულაციის დაცვა, რომელიც სკოლის სათანადო ფუნქციონირებისათვის არის შექმნილი, მშობელს, მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუქმნის განცდას, რომ მისი უფლებები დაცულია და რომ ასწავლის/სწავლობს ჯანსაღ, უსაფრთხო გარემოში.

ყველა იმ რეგულაციის დაცვა, რომელიც სკოლის სათანადო ფუნქციონირებისათვის არის შექმნილი, მოუგელს, მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუქმნის განცდას, რომ მისი უფლებები დაცულია და რომ ასწავლის სწავლობს ჯანსაღ, უსაფრთხო გარემოში.

მნიშვნელოვანია, სკოლაში შეიქმნას და ჩამოყალიბდეს კარგად ფორმულირებული შინაგანაწესი, რადგან ის წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ სამართლებრივ მექანიზმს სკოლაში ჯანსაღი და მისაღები სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებისათვის. შინაგანაწესი არეგულირებს პირსა და სკოლას შორის სამართლებრივ ურთიერთობას და თავისი შინაარსით წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესი ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს—როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მშობლებისათვის.

საქართველოში აღნიშნულ საკითხებზე საკანონმდებლო ნორმები მოწესრიგებულია და არეგულირებს შესაბამის შემთხვევებს, ეს კი უზრუნველყოფს პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას სკოლაში და თანხვედრაშია ევროკავშირის მიდგომებთან. თანამშრომელთა შორის მნიშვნელოვანია სწორი კომუნიკაცია, გააზრება იმ ფაქტორის, რომ მათი გამოხატული თითოეული მოქმედება ან/და წარმოთქმული სიტყვა გავლენას ახდენს მოსწავლეზე არამხოლოდ საგაკვეთილო პროცესში, არამედ გაკვეთილის გარეთ. აუცილებელია, სკოლის თითოეულ რგოლს კარგად ჰქონდეს გააზრებული შესაბამისი რეგულაციები, მათი ვალდებულებები და მოვალეობები. სკოლაში ხშირად უნდა დაიგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასკოლო კულტურის მნიშვნელობის გააზრებას, შექმნასა და განვითარებას. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი შექმნის იმ სასკოლო გარემოს და ჩამოაყალიბებს ისეთ სასკოლო კულტურას, რომელიც დაეხმარება სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო მიზნების მიღწევაში.

დაგვიკავშირდით

მოგვწერეთ, რა გაინტერესებთ

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, იდეები, ინიციატივები

ჩვენ შევეცდებით, არცერთი შეკითხვა არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE

www.tpdc.ge